

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი



ნ ნ შ ე ნ ა

და

ც მ ე ნ ა

პატრიარქი განათლებისა
და

მეცნიერების შესახებ

წინამდებარე ბროშურაში მკითხველი გაეცნობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მიერ განათლებისა და მეცნიერების, რწმენისა და ცოდნის სინთეზის, სწორი აღზრდისა და პედაგოგიკის მნიშვნელობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც ამოკრეფილია სა-პატრიარქოს გამომცემლობის შესანიშნავი სამტომეუ-ლიდან „ეპისტოლენი, ქადაგებანი, სიტყვანი 1977-2007“ (რედ: გვანცა კოპლატაძე, გრიგოლ რუხაძე).

ISBN 978-9941-404-32-0

სააღმართო
გონებების

„საზოგადოების ნაწილი დიდ იმედს ამყარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე და მიაჩნია, რომ სწორედ იგი მოუტანს კაცს ბედნიერებას. მეცნიერებასა და ტექნიკას შეუძლია გარკვეულ წილად შეცვალოს ფიზიკური სამყარო, შეცვალოს ჩვენი პლანეტის გარეგნული სახე, მისი ფლორა და ფაუნა, გეოგრაფიული ზედაპირი... მაგრამ ადამიანის გარდაქმნა, მისი გაკეთილშობილება და სულიერი ამაღლება ისევ და ისევ ადამიანის ხელთაა.

ჩვენს მეტად რთულ და დაძაბულ დროში ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოების, მთელი სახელმწიფოსა და ცალკეული პიროვნების კულტურაზე. „სიტყვა კულტურა საზოგადოებრივ მეცნიერებებსა, და განსაკუთრებით ისტორიაში, ორი აზრით იხმარება. პირველის მიხედვით კულტურაში უმთავრესად იგულისხმება განათლება, როდესაც, მაგალითად, ლაპარაკობენ კულტურულ ერებზე ან საზოგადოების ფენებზე და უპირისპირებენ მათ უკულტურო ერებსა და კლასებს. იგივე გაგებით იხმარება გამოთქმა, ვთქვათ, კულტურული ადამიანი, კულტურული მანერები და ა.შ. კულტურას მეორე, გაცილებით ფართო გაგებას სძენს ყოფის მნიშვნელობა საერთოდ ანუ შინაგანი მდგომარეობა“ (ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია, ტ. 33). კულტურას ასე განყოფენ: მატერიალური (აქ იგულისხმება ცხოვრების პირობები, ჩაცმულობა, იარაღი, შეიარაღება, ძვირფასეულობა და ა.შ.) და სულიერი; მასში შედის: რელიგია, ენა, ჩვეულებანი, ზნეობა, ცოდნა, ლიტერატურა, ხელოვნება... და საზოგადოებრივი კულტურა ანუ სახ-

ელმწიფოებრივი, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ფორმები და კანონები...

საზოგადოებრივი ყოფის დღევანდელი ფორმა თავისთავად ითხოვს ადამიანისაგან მრავალ სიახლეს: ახლებურად აზროვნებას, ღირებულებათა და წარმოდგენათა გადაფასებას, მაღალ სულიერ კულტურას.

ჩვენს საუკუნეში, როდესაც ძალიან ბევრია უმაღლესდამთავრებული, ხოლო დანარჩენნი კი საშუალო განათლებით არიან, ვრწმუნდებით, რომ მხოლოდ განათლება კულტურას არ ნიშნავს.

ცუდად აღზრდილთათვის განათლება იგივეა, რაც მახვილი უგურთა ხელში, – წერს ერთი ღვთისმეტყველი. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ რწმენის, სიყვარულის, თავმდაბლობის, თავშეკავებულობის, კეთილმოსურნეობის, თავაზიანობის, სხვისთვის ჭირში თანადგომის უნარის აღზრდის გარეშე დიდი ხარვეზი იქნება დაშვებული პიროვნების ჩამოყალიბებაში. ნუ დავივიწყებთ, რომ თუნდაც ერთი მოზარდის ნაკლოვანებები განსაზღვრულ პირობებში შეიძლება ხასიათის საშიშ თვისებებად იქცეს და გამოუსწორებელი ზიანი მოუტანოს საზოგადოებას.

მოციქული პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წერდა: **რომელსა-იგი ვიქმ, არა ვიცი, რამეთუ არა რომელი-იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვჰყოფ** (რომ. 7, 15). მშვენივრად თქვა ჰაინრიხ ჰაინემ: „მსოფლიო ორად გაიყო და ბზარმა ჩემს გულზე გაიარა“.

მხოლოდ ღმერთია მსოფლიოსა და კაცთა მკურნალი და მხსნელი, მხოლოდ მისი შეწევნით შეიძლება შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევა, მშვიდობის დამყარება საკუთარ თავთან, მოყვასთან და ხალხთან ურთიერთობის მაღალი კულტურის მიღწევა, რაც აზრთა შემთხვევითი სხვადასხვაობისაგან თავის არიდებასა და მის სანაცვლოდ ოპტიმალური და შეთანხმებუ-

ლი გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს.

კულტურა არ უნდა იყოს ჩაკეტილი მხოლოდ მუზეუმებსა და თეატრებში; იგი უნდა იგრძნობოდეს ყველგან: ქუჩაში, ბაღებსა და სკვერებში; რესტორნებსა და კაფეებში, ყოველ ოჯახში. კულტურა არ არის მარტო სპორტსა და საზეიმო შეხვედრებში მონაწილეობა, არც მედლებისა და ჯილდოების დამსახურება, გამოფენების დათვალიერება, ბიბლიოთეკებსა და კაფეებში სიარული... კულტურა არის მუდმივი მზადყოფნა სხვისთვის სიხარულის მისანიჭებლად, ზრუნვა მომავლისათვის, ახალგაზრდებისა და საერთოდ ადამიანისათვის ღვთივმინიჭებული უნარისა და შესაძლებლობების გამოვლინებისათვის, მოყვასში და საკუთარ თავში შემოქმედებითი ძალისა და მრავალმხრივი ტალანტის აღმოჩენისა და გამომზეურებისთვის.

დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას, თეატრსა და კინოს, საერთოდ ხელოვნებას. ტალანტითა და ნიჭით დაჯილდოებულ მწერალსა და რეჟისორს, რომელიც თვითონაც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და ხედავს კაცთა გულის იდუმალ ზრახვებს, კეთილი მწყემსის მსგავსად ძალუძს, დაგვეხმაროს როგორც სინამდვილის შეცნობაში, ისე ჩვენთვის სავალი გზების მიგნებაში; ოღონდ ისე, რომ ჭრილობა მარტო კი არ გააშიშვლოს, არამედ უმკურნალოს მას, ანდა გვასწავლოს მაინც, როგორ მოვიშუშოთ იგი.

კაცობრიობის კულტურის ისტორია გრძელი ჯაჭვის სახით წარმოგვიდგება, რომლის ყოველი ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული წინა და მომდევნო რგოლებთან. მემკვიდრეობა და ურთიერთგავლენა არის მთავარი ბიძგის მიმცემი კულტურის განვითარებისათვის.

ქართულმა ნაციონალურმა გენიამ, ეროვნულთან ერთად, შეითვისა რა ცხოველმყოფელი წყარო რომაული, ბერძნული

და აღმოსავლური ცივილიზაციებისა, შექმნა უდიდესი ტაძარი სულიერი შენობისა, რომლის მთავარი ხუროთმოძღვარი იყო ქრისტიანი ქართველი კაცი. საერთოდ ქრისტიანმა ადამიანმა მაღლიერი რწმენითა და ცოდნით ამოკვეთა ზნეობრივი ცხოვრების ისეთი ბრწყინვალე კანონები და მაგალითები, რომლის მსგავსს არ იცნობდა ქრისტიანობის წინარე მსოფლიო.

ასე რომ, კულტურა მხოლოდ ცალკეული ადამიანის პირადი საქმე როდია, იგი მთელი ხალხის სიმდიდრეა.

ჩვენი მიზანი არ არის კულტურის კანონებზე წერა, უბრალოდ გვსურს მეტი სერიოზულობით დავეუფიქრდეთ ამ პრობლემას და მისდამი ჩვენს დამოკიდებულებას.“

*ქრისტეს აღდგომა
თბილისი, 1986*

„სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში იკითხება საგანი, რომელსაც „ზნეობრივი ღვთისმეტყველება“ ეწოდება. თუ ღვთისმეტყველება ჯერ კიდევ მიუღებელია ჩვენს სკოლებში, ზნეობა ხომ აუცილებელია. საგანს დავარქვათ „ზნეობრივი კულტურა“ და შევიტანოთ იგი სკოლის პროგრამაში.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ თანამედროვე პედაგოგიკის ნაკლზე. გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, შემუშავებულია პროგრამა... მაგრამ იმას კი არავინ დაკვირვებია, რომ პირველი კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე ერთ სკოლაში მოსწავლეთა სწორად აღზრდა შეუძლებელია; რომ აბსურდი და უდიდესი დანაშაულია, როცა პირველკლასელს ვაიძულებთ, თითქმის იმდენივე ხანს იჯდეს გაკვეთილზე მობილიზებული, რამდენ ხანსაც ვთხოვთ, ვთქვათ, მეათე კლასის მოსწავლეს. სწავლების ასეთი ფორმით ხომ ბავშვს ძალაუწებურად რობოტად ვზრდით.

ყმანვილის დატვირთვა თავდაპირველად მსუბუქი ფორმით, ვთქვათ 5 ან 10 წუთით უნდა დავიწყოთ. შემდეგ კი ნელ-ნელა გავზარდოთ დრო, რომ ისინი სიბეჯითეს თანდათან შეეჩვიონ. სწავლების პროცესში ჩვენი ის ნაკლიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველებს გვახასიათებს საქმის კარგად დაწყება, მაგრამ დამთავრება კი გვიჭირს, არ გვიყვარს მისი ბოლომდე მიყვანა. ამიტომ ბავშვს რა ხნის განმავლობაშიც დავსვამთ გაკვეთილზე, ისეთი დავალება უნდა მივცეთ, რომ იმ დროში აუცილებლად ჩაეტიოს, დაასრულოს იგი, ან საქმის გარკვეული ნაწილი მაინც, რომ მას გამოუმუშავდეს დაწყებულის აუცილებლად დამთავრების სურვილი და მოთხოვნილება.

აღბათ, ყველაზე სასურველია, სკოლები დაიყოს კლასების მიხედვით: ერთი სკოლა იყოს პირველი კლასებისათვის, სხვა – მეორე კლასებისათვის და ა.შ. ანდა ერთი სკოლა დაწყებითი კლასებისათვის, მეორე – მოზარდთათვის და ა.შ., სამწლიანი

შუალედით თითოეული.

ბოლო წლების მღელვარებამ დაგვანახა, რომ ჩვენი მოქმედება ძირითადად გრძნობებსა და ემოციებზეა დაყრდნობილი და რომ გონება არ აკონტროლებს მას. ემოციურობა კარგია, იგი ჩვენი თვისებაა, მაგრამ არ არის საკმარისი. გვაკლია ღრმა ანალიზის უნარი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ადამიანის აზროვნება ზედაპირულია, მოკლებულია ღრმა განსჯას, რასაც მეცნიერები რადიოს, ტელევიზიის, პრესის, კინოს, თეატრის და ინფორმაციის სხვა საშუალებების სიმრავლით ხსნიან. კაცი ვერ ასწრებს ყველაფრის აღქმას, ამიტომაც მისი გონება სწრაფად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე.

მიგვაჩნია, რომ ამ ხარვეზის გამოსწორება შეგვიძლია, თუ შეიქმნება I კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე სასკოლო კურსი ღრმა აზროვნების სწავლებისათვის, სადაც გამოყენებული იქნება ღვთისმეტყველების, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის... მონაპოვარი, ჩვენი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი (თეორიული მასალა აუცილებლად მაგალითებით უნდა იყოს განმტკიცებული).

ღრმა აზროვნებასთან ზიარება ბავშვს მეტად გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან, ჩვენ აღვზრდით ნამდვილად ჭკვიან ახალგაზრდებს, რომლებიც იცხოვრებენ და მოქმედებენ არა მხოლოდ ემოციებით, თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალიზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას.“

**აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1990**

„ცნობილი მეცნიერები, ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები, ფსიქოლოგები თვლიან, რომ ამ საქმეს ბავშვის დაბადების პირველი დღიდანვე უნდა შეეუდგეთ. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია, ცოდნის მიცემასთან ერთად, გრძნობათა აღზრდაზეც ვიზრუნოთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გულის კულტურას. გული არის ადამიანის სულიერი და ხორციელი სიცოცხლის შეერთების ადგილი; აქედან მომდინარეობს კეთილი და ბოროტი ზრახვანი და ქმედებანი. ჩვენი გონება გარედან მიღებულ ინფორმაციას აგზავნის გულში; აქ ხდება ყოველივე ამის სამართლიანი ან უსამართლო განსჯა, რომელიც შემდეგ ჩვენს მოქმედებაში ვლინდება. გული არის ცენტრი მრავალგვარი სულიერი გძრნობისა, სხვადასხვა განცდისა, ცხოველური ვნებისა.

ასე რომ, გულში ყალიბდება და მნიფდება პიროვნების ზნეობრივი საფუძვლები, რომელნიც შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში იჩენს თავს.

წმინდა მეფე დავითმა, ფსალმუნთა შემქმნელმა, მშვენივრად იცოდა გულის მნიშვნელობა. იგი ასე შესთხოვს შემოქმედს: **გული წმიდა დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა** (ფს. 50, 12).

გული, – ეს არის ადამიანის ყველაზე დიდი სინმინდე, კვარცხლბეკი უზესთაესისა, ტაძარი სულისა წმიდისა. ამიტომაც მიმართავს უფალი თითოეულ ჩვენგანს: **მომეც მე, შვილო, გული შენი** (იგ. 23, 26).

ამის შესახებ დანვრილებით იმიტომ ვსაუბრობთ, რომ მშობლები ანდა პედაგოგები როცა შვილს ან მოსწავლეს ამა თუ იმ კეთილ რჩევას აძლევენ, ხშირად მათი ნათქვამი რჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. უფროსების დარიგება, ახსნა, მტკიცება უმეტეს შემთხვევაში უნაყოფოა, რადგან

თავიდანვე დაშვებული აქვთ ერთი დიდი შეცდომა: მათ ვერ შეძლეს ბავშვის გულის კარის გაღება. გული კი მხოლოდ სიყვარულით იხსნება.

მშობელმა თუ მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მსმენელთა სიყვარული უნდა დაიმსახუროს და გასაღებიც მის ხელში იქნება; გააღე გული, შედი შიგ, დაამყარე ნესრიგი და შენი გემოვნებით განაღაგე ყოველი; ხელის შემშლელი არ გეყოლება.

მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება შეუძლებელია; იგი გაცილებით იმაზე მეტს გძრნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია (ადამიანებს შორის ხომ, გარდა ხილულისა, თვალისთვის შეუმჩნეველი სულიერი კავშირიც მყარდება).

...მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა მთელს მსოფლიოში, რადგანაც იგი ზრდის მომავალ თაობებს. ჩვენთან კი პედაგოგს არა აქვს ავტორიტეტი არც ოჯახში, არც საზოგადოებაში და არც მოსწავლეთა შორის. უფრო მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში მოწაფეს არ უყვარს სკოლა და არც აღმზრდელნი.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ მასწავლებლის შრომის სოციალურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე; ამის თაობაზე ადგენენ სხვადასხვა დეკლარაციებს... საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, პირიქით, უფსკრულისკენ მიექანება.

ჩემი შეხედულებით, ყველაზე დიდი ხელფასი, ნებისმიერი პროფესიის ადამიანებთან შედარებით, პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ. აქ უნდა მივიზიდოთ ყველაზე ნიჭიერი კადრები, ისეთნი, რომელნიც გამორჩეულნი იქნებიან არა მარტო ცოდნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ღრმა რწმენით, სიყვარულით,

დიდი მოთმინებით და სხვა კეთილი თვისებებით, რასაც შემდეგ ისინი თავიანთ მოსწავლეებს გადასცემენ.

იქნებ სჯობდეს, სკოლის პროგრამა და საგნები ცალ-ცალკე შეიქმნას ჰუმანიტარული და ტექნიკური განყოფილებებისათვის. ე.ი. გაგვეხსნა ერთი ტიპის სკოლები ჰუმანიტარებისათვის, მეორე ტიპისა კი – მათთვის, ვისაც ტექნიკური საგნები იტაცებს, მაგრამ ისე, რომ ორივე სახის სკოლებში დარჩენილიყო ზოგადსაგანმანათლებლო კურსი. სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, სხვებთან ერთად, ისწავლება ზნეობრივი ღვთისმეტყველება. საშუალო სკოლის პროგრამაშიც შეიძლება ბოდა შეგვეტანა ეთიკა.

განა დრო არ არის დავფიქრდეთ იმაზე, ტყუილად რატომ ვასწავლით ჩვენს ბავშვებს მაგ., ალგებრას, გეომეტრიას, ფიზიკას, ქიმიას და სხვა ისეთ საგნებს, რომლებიც ცხოვრებაში შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეთ; მაშინ, როდესაც არაფერს ვეუბნებით რწმენის, სიყვარულის, სიძულვილის, შურის, სინანულის, შერიგების უნარის, ამპარტავნების, თავმდაბლობის, სამართლიანობის, მონყალეების, სიძულვილის, სიცრუის, სიმართლის, შრომის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ.

ამიტომაც შედეგად მივიღეთ საზოგადოება ქურდებისა და ბოროტმოქმედებისა, მლიქვნელთა, ცრუთა და უზნეოთა, დაბალმა სულიერობამ სხვა მხრივაც იჩინა ჩვენს ხასიათში თავი: ადრინდელ ჩემს ეპისტოლეში უკვე მქონდა იმის შესახებ საუბარი, რასაც აქ კიდევ გავიმეორებ: ქართველები ემოციური ხალხი ვართ, ამიტომაც ჩვენს მოქმედებას ხშირად გრძნობები წარმართავს, გრძნობა კარგია, იგი გულიდან მომდინარეობს, მაგრამ არ არის საკმარისი, აუცილებელია გონების, ზოგჯერ ცივი გონების კონტროლი, რომ სწორად განვსაზღვროთ ჩვენი

საქციელის შესაძლო დადებითი ან უარყოფითი შედეგები.

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა საუბრისას ასე ბრძანა: თუ ვინმე დამარტყამს, მეც დავარტყამ და სულაც არ ვფიქრობ, რა შეიძლება ამას მოჰყვესო.

დიახ, ეს ქართულ ხასიათში დევს და იგი ჩვენი დიდი ნაკლია. ასე ცხოვრება არ გამოგვადგება. აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რა იქნება შემდეგ, რადგანაც ეს „შემდეგ“ ჩვენთვის, ჩვენი ხალხისთვის შეიძლება საბედისწეროდ იქცეს.

ჩვენი შვილებიც უნდა შევაჩვიოთ განსჯას, გონიერ აზროვნებასა და მოქმედებას. ამიტომაც ყოველწლიურად უნდა შევეცადოთ, კონცენტრირება გავუკეთოთ მთელ ჩვენს სულიერ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და შევექმნათ საშუალო სკოლის ყველა კლასისათვის ფილოსოფიური ღრმა აზროვნების კურსი.

ნიგნები უნდა შედგებოდეს კანონებისა და ღრმა აბსტრაქტული აზროვნების შემცველი მაგალითებისაგან. რა თქმა უნდა, გამოყენებული უნდა იყოს ღვთისმეტყველება, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ლიტერატურა, ისტორია და სხვა დისციპლინები.

პროგრამა თანდათან უნდა რთულდებოდეს ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღოთ ანალიტიკურად, ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდები.

აღბათ, ასევე საჭიროა, მეცნიერთაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას და შეადგენს ნიგნების სერიალს ბავშვების აღზრდის თაობაზე ოჯახში. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, პატარები თავიდანვე მიეჩვიონ ფიქრს; დაე, მათ ნორჩ თავებსა და გულუბნობაში დაიბადოს ახალი იდეები, თუნდაც უტოპიური; შემდეგ ეს ყველაფერი თავისთავად მონესრიგდება.

დღეს სკოლადამთავრებული ყმანვილები საერთოდ არ იცნობენ ცხოვრებას, არ არიან მასთან შეგუებულნი, არ არიან შრომას შეჩვეულნი და ხშირად სრულიად შემთხვევით ხვდებიან ამა თუ იმ სასწავლებელში.

ვფიქრობ, სკოლაში ყოფნის პერიოდში მოსწავლეები ხშირად უნდა ატარონ ქარხნებში, ფაბრიკებში, სამეცნიერო ცენტრებში, რომ მათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ამა თუ იმ საქმიანობაზე. საშუალო სკოლაში ბავშვმა აუცილებლად უნდა შეითვისოს რაიმე ხელობა, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოადგება. არჩეული სპეციალობა უნდა აინტერესებდეს მოსწავლეს და უნდა იყოს ისეთი, რომ ამ ხელობით, საჭიროების შემთხვევაში, არჩინოს თავისი თავი და ოჯახიც.

ბოლოს მინდა შევეხო მშობლებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც ერთ მეტად საყურადღებო საკითხს, საკითხს სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

სიტყვა არ არის მარტო ბგერათა ერთიანობა; მასში განსაკუთრებული მისტიკური ძალაა ჩადებული.

მშობლებო! არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ დასწყევლოთ თქვენი შვილები, არამედ აკურთხეთ, გეცოდებოდეთ და გიყვარდეთ ისინი. იცოდეთ, თქვენი სიტყვები დიდი ძალისაა და აუცილებლად შესრულდება. ბიბლიაც გვასწავლის, რომ კურთხევა მშობლებისა განამტკიცებს შვილების სახლებს, მათ ოჯახებს, წყევლა კი საფუძვლამდე ანგრევს მათ.

მასწავლებლებო! თქვენმა სიტყვამ, თქვენმა კეთილმა ან უხეშმა დამოკიდებულებამ შეიძლება გადაარჩინოს ან დაღუპოს აღსაზრდელი. ხომ ნათქვამია: ხეს რომ ყოველ დღე შესძახო, გახმიო, გახმება. ნურასოდეს ნუ ეტყვი ბავშვებს, რომ უნიჭონი და ცუდნი არიან, შეიბრალებთ ისინი და ნუ დაამცირებთ კლასის წინაშე.

განსაკუთრებული ყურადღებით მოექცეცით ე.წ. ძნელად-აღსაზრდელთ. სწორედ მათგან გამოდიან გენიალური ადამიანები ან ცნობილი დამნაშავენი. ასეთი ბავშვები ფლობენ დიდ ენერგიას და ითხოვენ განსხვავებულ დამოკიდებულებას. კარგი აღმზრდელის ხელში ისინი გამორჩეულ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან, თუ არა და მათი განვითარება სხვა მიმართულებით წავა.

ყოველთვის გახსოვდეთ: თითოეულ თქვენს მოსწავლეში ჩადებულია რაღაც განსაკუთრებული ნიჭი და უნარი. მიეხმარეთ მას, გამოავლინოს იგი.

პედაგოგს, რომელიც ვერ იოკებს სიბრაზეს, საჯაროდ კიცხავს და შეურაცხყოფს მოსწავლეებს, უნდა ეყოს ვაჟკაცობა და გამბედაობა იმისა, რომ თვითონ დატოვოს სკოლა. იგი შეიძლება გამოდგეს ნებისმიერ საწარმოში, დანესებულეებაში, მაგრამ არა სკოლაში, რადგანაც ის ვერ შეძლებს რწმენითა და სიყვარულით აღზარდოს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარის მქონე მომავალი თაობა. ეს კი ჩვენს წინაშე მდგარი მეტად რთული, მაგრამ აუცილებლად გადასაწყვეტი ამოცანაა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვების სულიერ ამაღლებას, ხელი შევუწყოთ მათი ნორჩი, შეურყვნელი გულის კულტურის სრულყოფას. წმიდა იოანე კრონშტანდტელი ამბობს: „გული მეტად ფაქიზი, სულიერი, მსუბუქი და თავისი ბუნებით ზეციურია. გაუფრთხილდით მას. ნუ დაამძიმებთ, ნუ გაამინიერებთ. იყავით მეტად თავდაჭერილნი ჭამა-სმისას და საერთოდ ერიდეთ ხორციელ სიამოვნებებს. გული ტაძარია ღვთისა. ვინც დაანგრევს ღვთის ტაძარს, მას დასწყევლის უფალი“. სხვა ადგილას კი იგივე წმინდანი წერს: „გულის სიცოცხლე სიყვარულშია, ხოლო ღვარძლი და მტრობა მოყვასისა კლავს მას. უფალი იმიტომ გვაცხოვრებს

ამ სოფლად, რომ ღვთისა და მოყვასის სიყვარულმა მთლიანად მოიცვას ჩვენი გული. ამას ელის იგი ყველასგან. ეს არის მიზეზი და მიზანი ქვეყნის არსებობისა“.

*პასუქი ქრისტესი
თბილისი, 1991*

„დღეს ჩვენს ინტელიგენციას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე თვითონ გრძნობს. ის როლი, რასაც თავის დროზე ასრულებდა სამეფო დინასტია, თავადაზნაურობა, ეკლესიასთან ერთად უნდა იტვირთოს ინტელიგენციამ. იგი უნდა იქცეს ერისთვის ჭეშმარიტი გზის გამკვლევად, ეროვნული მრწამსის, კულტურის და ხელოვნების დამცველად და შემქმნელად. ამიტომაც ხელი უნდა შევუწყოთ მისი დიდი ნიჭისა და მაღალი თვისებების მაქსიმალურ გამოვლინებას ერისა და ღვთის სამსახურად.

თუ ნორმალური საზოგადოების შექმნა გვსურს, ჩვენმა ინტელიგენციამ, ერისმთავრებმა უპირველესად უნდა იზრუნონ მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე. ადამიანის ბუნება დაცემულია და ჩვენი ცოდვისმიერი თვისებანი ასაკისდამიხედვით გამოვლინდებიან. ამიტომაც ბავშვებმა თავიდანვე უნდა ისწავლონ ავის და კარგის გარჩევა, ბრძოლა ბოროტებასთან და უფლის შეწევნით დაძლიონ მანკიერი მიდრეკილებანი. ამ რთულ საქმეს მასწავლებლები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ. კარგი იქნება, თუ ისინი უზნაძის განწყობის თეორიით იხელმძღვანელებენ და პიროვნულ თვისებათა გათვალისწინებით მიუდგებიან თითოეულ აღსაზრდელს. ბავშვებს თავიდანვე უნდა გაეუღვიძოთ გრძნობა ადამიანის ღირსების დანახვისა და დაფასებისა, განვამტკიცოთ რწმენა იმისა, რომ ყოველი ჩვენთაგანი ღვთისაგან განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული, ოღონდ აუცილებელია ამ მადლის გამოვლენა.

მოზარდი თაობა უნდა დავუახლოვოთ შრომას, შევაცვაროთ

მინა, ყვაველები, ცხოველები, ბუნება; ვასწავლოთ მასთან კავშირი, რათა მან შემდეგ ადვილად დაამყაროს ჰარმონიული ურთიერთობა გარემოსთან.

...საჭიროა მაღალი ინტელექტის მქონე დიპლომატების აღზრდა; საჭიროა დიპლომატიური სკოლის დაარსება, სადაც ახალგაზრდები შეითვისებენ ჩვენი ხალხის და მსოფლიო ქვეყნების დიპლომატიურ გამოცდილებას და შეძლებისდაგვარად გააკეთებენ ყველაფერს, რათა საქართველომ თავისი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ერთა შორის.“

აღდგომა ქრისტესი
თბილისი 1992

„ექვსი დღე იშრომე და ოფლით შენით ჭამე პური შენი არსობისა, – გვიბრძანებს უფალი. ეს დასჯა კი არა, კურთხევაა ღვთისა.

გახსოვდეთ, ლოცვისა და დაუღალავი შრომის გარეშე ღვთის სათნოს ვერაფერს გავაკეთებთ: ვერც მიწის ნაყოფს მოვიპოვებთ, ვერც ნამდვილ სრულ ცოდნას შევიძინებთ, ვერც სულიერ ცხოვრებაში მივალწევთ რამეს. ღვანლის გარეშე წარმოუდგენელია იმ ზნეობრივი თვისებების შექმნა, რაც აუცილებელია ჩვენი უკვდავი სულისათვის.

სიყვარულით მოგმართავთ ჩვენო ახალგაზრდებო: ნუ ეძებთ იოლ გზებს; ისინი მხოლოდ დაღუპვისაკენ გიბიძგებენ. ნუ გახდებით მენვრილმანენი და მოვაჭრენი; ყიდვა-გაყიდვა და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობანი აფუჭებს და ამახინჯებს ადამიანის სულს. ჩვენი წინაპრებისათვის XIX საუკუნეშიც კი ეს ხელობა არასასურველ საქმედ ითვლებოდა. მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, ქარხნები, ფაბრიკები, აყვავდეს მეურნეობები.“

**აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1994**

„საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამალღებით უნდა დაიწყოს. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერობა იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა.

ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებშიც მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნისა ხალხში ნერგავდა განათლებისა და სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს, ცდილობდა მიახლოებოდა ღრმა ფილოსოფიურ საკითხებს და აბსოლუტური ჭეშმარიტების პრობლემას. ერთადერთი, რაც მას აკლდა, ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და შესრულებას ინტელიგენცია შეძლებს მხოლოდ მაშინ, თუ თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს. ოდენ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგებს.“

*აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1995*

„საკითხი გონებისა და გრძნობების ურთიერთმიმართებისა ფრიად აქტიუალურია ჩვენთვის, ჩვენი ხალხისათვის, რადგან ჩვენ ბუნებით ზედმეტად მგრძნობიარენი ვართ. სამწუხაროდ, გონებამ და გრძნობებმა ადგილები გაცვალეს, ამიტომ ხშირად ჩვენში თავდაუჭერელი და აულაგმავი გრძნობები გონებაზე ბატონობენ და იმონებენ მას. სწორედ ამის გამო მოგვდის ამდენი შეცდომა. ამიტომაც კვლავ ვუბრუნდები იდეას, რომელიც ერთხელ უკვე გამოგხატე: ჩვენმა საშუალო სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა ლოგიკური და ფილოსოფიური აზროვნების კურსი უნდა შემოიღონ, ამ გზით ჩვენი ახალგაზრდობა ლოგიკურ აზროვნებას ისწავლის და ის შეცდომები აღარ მოუვა, რომელნიც ხშირად საბედისწერონი ხდებიან. ჩვენი მთავრობისა და განათლების სამინისტროს მიერ ეს საკითხი სერიოზულად უნდა იქნეს შესწავლილი. ქრისტიანული იდეალი არა პასიური, არამედ აქტიური გონებაა. აუცილებელია ძიებანი, განათებანი და აღმოჩენანი. ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს გრძნობა დაუკმაყოფილებლობისა და სწრაფვა სიახლისაკენ.“

**აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1996**

„და მაინც, ვის უნდა დაეკისროს მთავარი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის ფორმირებაზე?

ამ საქმის მხოლოდ მობლებზე მინდობა არ იქნება სწორი, რადგან ისინი ხშირად სამსახურით არიან დაკავებულნი და სათანადოდ ვერ იცლიან შვილებისათვის. ვერც მხოლოდ სკოლა აიღებს ამ ტვირთს.

ვფიქრობ, ყველაზე ეფექტურია სამი ძალის – ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის შეთანხმებული მოქმედება. უნდა შეიქმნას ავტორიტეტული კომისია და გამოიკვეთოს თითოეულის პასუხისმგებლობა და მოვალეობა. დამლუპველი იქნება შედეგი, თუ აღზრდის პროგრამა და მოქმედება არ იქნება შეთანხმებული ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის.

განათლების სამინისტრომ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს პროგრამა ჩვენი მომავალი თაობის სულიერი, ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისა. სკოლადამთავრებული ახალგაზრდა მომზადებული უნდა იყოს როგორც ოჯახური ცხოვრებისათვის, ისე საზოგადოებრივი პრობლემების გადასალახად.

იგივე ითქმის სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზეც. სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფრით ვერ ვთავისუფლდებით ძველი სტერეოტიპებისა და სტანდარტებისაგან. განათლების პროგრამების შემუშავება კი დაუშვებელია ანთროპოლოგიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, სოციალური ფილოსოფიის გაუთვალისწინებლად. ცნობილი ფსიქოლოგი ალექსი ლეონტიევი XX ს-ის განათლებას ახასიათებდა, როგორც სულის გაღატაკების პროცესს ინფორმაციით გამდიდრების ხარჯზე. იგივე მდგომარეობაა დღესაც.

მთავარი ის კი არ არის, თუ რა რაოდენობის საგანს ვასწავლით ახალგაზრდას, არამედ ის, თუ რა შედეგს მოგვცემს ჩვენს მიერ მიცემული ცოდნა, როგორ წაადგება ის ყმანვილის

სულიერ თუ პრაქტიკულ ცხოვრებას. ამიტომაც ვიმეორებ, აუცილებელია დაიძლიოს ზღვარი ოჯახს, ეკლესიას, კულტურასა და განათლებას შორის.

კულტურა და განათლება პარალელურ წრფეთა მსგავსი კი არ არის, არამედ ხშირად თანმხვედრი ცნებებია. კულტურისა და განათლების კავშირი ბუნებრივად ბადებს ეკლესიასა და ოჯახთან ურთიერთობის აუცილებელ მოთხოვნილებას. მხოლოდ ასეთ გარემოში შეიძლება აღიზარდოს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება ადამიანს სრულფასოვანი წარმოდგენა სამყაროზე და გამოუმუშავდება უნარი კრიტიკულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა.“

პასეჟი ქრისტესი

19 აპრილი, 1998

„მეცნიერებაცა და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას.

ცნობილი მკვლევარი მაქს პლანკი შეგვახსენებს: „მეცნიერება და რელიგია სინამდვილეში არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ნებისმიერი მოაზროვნე კაცისათვის ისინი აუცილებელია ერთმანეთის შესავსებად და გასაღრმავებლად“.

ამ აზრს უძველესი დროიდანვე ავითარებდა ქრისტეს ეკლესია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ იმავეს იმეორებს თანამედროვე მეცნიერებაც, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში თითქოს დაუპირისპირდა რელიგიას, თუმცა ეს დროებითი მოვლენა იყო და ამ ეტაპმა, მადლობა ღმერთს, უკვე განვლო.“

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 30 (17) აპრილი, 2000

„ყველაზე მძიმე ბრძოლა საკუთარ თავთან გვინევს. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იცოდნენ ამ ჭეშმარიტების შესახებ. დანაშაულებით ამბობს ალექსანდრე მაკედონელზე მისი ბიოგრაფი კვინტიუს კურციუსი: „ის, ვინც ვერ გატეხა სპარსთა ურიცხვმა ლაშქარმა, დამარცხდა ვნებათაგან“.

...საერთოდ, უფრო მეტად გვმართებს ანალიტიკური აზროვნების უნარის გამოვლენა, ვიდრე გულის კარნახით სიარული. ჩვენი ყოველი ნაბიჯი ანონილი და გამართლებული უნდა იყოს.

ღირსი მაკარი აღმსარებელი წერს: „სიბრძნე მდგომარეობს იმაში, რომ საგნები და მოვლენები დავინახოთ ისე, როგორც ისინი სინამდვილეში არიან, მთელი მათი შინაგანი თავისუფლებით“. მართლად ხედვის უნარი კი სუფთა გულიდან მოდის.

ღმერთმა მოგვცეს ძალა სწორი ხედვისა, ღმერთმა მოგვცეს უნარი ჭეშმარიტებასთან ზიარებისა და მაშინ ჩვენ ნამდვილ თავისუფლებას მოვიპოვებთ.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს ინტელიგენციამ და ახალგაზრდობამ. სწორედ ისინი უნდა დადგენენ ჩვენი სულიერი და ეროვნული ღირებულებების სადარაჯოზე.

მსურს ერთგვარი სიამაყის გრძნობით აღვნიშნო, რომ საქართველოში ინტელიგენტთა შორის თითქმის არ ყოფილან მებრძოლი ათეისტები. მართალია, უმრავლესობამ კომუნისტურ პერიოდში ეკლესიურობა დაკარგა, მაგრამ ღვთისადმი შინაგანი რწმენა შეინარჩუნა და მას ბოლომდე თან ატარებდა. ამიტომაც იყო, რომ 1977 წელს, როდესაც ღვთის განგებით საპატრიარქო ტახტზე ამირჩიეს, ეკლესიისთვის დასახმარებლად პირველად ინტელიგენცია და ახალგაზრდობა მოვიდა. დიდი მადლიერებით მიწადა გავიხსენო ქ-ნი ბაბო (ბარბარე)

დადიანი, ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე, გურამ პატარაია, ლევან ცუცქერიძე, ლამარა და გრიგოლ აბაშიძეები, ირაკლი აბაშიძე, ერასტი და ელენე ვაჩნაძეები, ნანა ხატისკაცი, მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი, ლილი გეგელია, რეზო ჩხეიძე, მედეა ჩახავა, ზურაბ კიკნაძე, ელგუჯა გიუნაშვილი, გიორგი ცინცაძე, ბაჩანა ბრეგვაძე და სხვანი.

მათ უთვალთვალებდნენ, ავინროვებდნენ, უშლიდნენ ჩვენთან სიახლოვეს, მაგრამ ისინი არ უშინდებოდნენ ზენოლას.

მინდა შევჩერდე ახალგაზრდებზეც, რომელთა ყოფნაც ეკლესიაში მაშინ, ფაქტობრივად, თავგანწირვა იყო. რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა მაგალითად ზურაბ ჭავჭავაძეს, რომ წლების განმავლობაში შეენარჩუნებინა თანამშრომლობა და კავშირი საპატრიარქოსთან. ცნობილი ფილოსოფოსის, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის, ბ-ნ ნიკო ჭავჭავაძის შვილი თავადაც შესანიშნავი მეცნიერი იყო. ზურაბი კომკავშირიდან გარიცხეს, ცილს სწამებდნენ, ცდილობდნენ, გავლენა მოეხდინათ მის მშობლებზე, დაემცირებინათ და მძიმე მდგომარეობაში ჩაეგდოთ მთელი ოჯახი.

ეს გზა გაიარა კომუნისტური მმართველობის დროს ეკლესიაში მოსული ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა, რომელთა შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო ტრაგიკულად გარდაცვლილი სოსო (იოსებ) ნერეთელი და გიორგი ჭანტურია.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღესაც ინტელიგენციას და ახალგაზრდობას სერიოზული პრობლემების გადალახვა მოუხდებათ, თუ აქტიურად ჩაებმებიან ქვეყნის აღმშენებლობაში და მაცხოვრებელი გზიდან არ გადაუხვევენ.“

*აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2001*

„ჩვენი ყოფის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი მოვლენაა ცენტრალიზებული, წინასწარ დაგეგმილი ეკონომიკის შეცვლა თავისუფალი საბაზრო ცხოვრების წესით. ტოტალიტარულ რეჟიმს შეჩვეული ხალხი, სამწუხაროდ, ადვილად ვერ უღებს ალღოს დროის მოთხოვნილებებს და დაბნეული სასოწარკვეთილებაში ვარდება.

აუცილებელია ანალიტიკური აზროვნება, ახალი იდეები, გონიერი, შორსმჭვრეტელი ადამიანები, რათა ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი რისკიც და მსხვერპლიც მაქსიმალურად შემცირდეს.“

ალდგომა ქრისტესი
თბილისი, 2002

„განსაკუთრებულ ყურადღებას ასევე საჭიროებს სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში ჩვენი ახალგაზრდების აღზრდის საკითხი. უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს საუბარი სასწავლო პროგრამების განახლებასა და ახლის შემუშავებაზე.

ბოლო დროს მოსახლეობაში დიდი მღელვარება გამოიწვია ბავშვების სექსუალური აღზრდის პროექტმა. ის, რაც კულტურულად იყო ცნობილი, ალბათ, ვერ განხორციელდება საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი პოზიციის გამო. ჯერ-ჯერობით უცნობია მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასწავლო პროგრამებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ განათლების სამინისტროს არ უნდა დაეკისროს; განათლების რეფორმა ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და, რადგან საქმე ერის მომავალს ეხება, მისი განხილვა ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

თუ ჯანსაღი, ქვეყნის ერთგული, ძლიერი თაობის აღზრდა გვსურს, დიდი დრო უნდა დაეთმოს ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას, შრომის კულტურას, აზროვნების განვითარებას, სამშობლოსადმი თავდადებისა და ვაჟკაცობის ამსახველი ქართული და უცხოური ნაწარმოებების გაცნობას.

კარგად გვესმის, რომ არ შეიძლება მხოლოდ ძველი სტერეოტიპებით ცხოვრება. ჯერ კიდევ რომაელები ამბობდნენ: დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთადო, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ახალი ღირებულებების შეთვისებისას, არ დაგვკარგოთ ჩვენი ტრადიციული და ზნეობრივი ფასეულობანი.

ცალკე უნდა შეიქმნას აღზრდის პროგრამა, რაც გულისხმობს ურთიერთობების კულტურისა და ქცევის წესების შესწავ-

ვლას. დღეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია უგულვებელყოფილია და მისთვის მხოლოდ ოჯახი ზრუნავს. საჭიროა აღზრდის საერთო მეთოდით ხელმძღვანელობდეს და ურთიერთკავშირში იყოს ოჯახიც, ეკლესიაც და სასწავლებელიც, ანუ გამთლიანდეს ის გარემო, სადაც მოზარდი ყალიბდება.

ცნობილი ხელოვანი, შესანიშნავი მკვლევარი, ნარმატებულ-ლი ფერმერი ან ბიზნესმენი, კარგი მუშა ან ნიჭიერი ახალგაზრდა როგორც ადამიანი, შეიძლება სულაც არ იყოს ზნეობრივი პიროვნება. სულიერი ღირსებების გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი ფასს კარგავს და მისი არსებობა ქვეყანას დიდ სიკეთეს ვერ მოუტანს. იმედია, ჩვენ არ გვსურს ასეთი თაობის აღზრდა.“

*აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2004*

„თანამედროვე ადამიანის ტრადეია იმაშია, რომ კულტურა და მეცნიერება (განსაკუთრებით ფილოსოფია) დიდად დასცილდა ეკლესიას.

ბევრს ეჩვენება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები დადასტურებაა ადამიანური გონების სრულყოფილებისა და ჰგონიათ, რომ მეცნიერებას დროთა ვითარებაში მთელი სამყაროს საიდუმლოებათა ახსნა შეუძლია. ამიტომაც შემოქმედის რწმენა ან ნაკლებად გაცნობიერებული ადამიანების დამახასიათებლად და დღეისათვის სრულიად ზედმეტად მიაჩნიათ, ანდა იმდენად მისაღებად, რამდენადაც შეიძლება იგი გამოადგეთ მოსახლეობის დაბალი ფენების მართვის საშუალებად. ისინი უარყოფენ სასწაულს, რადგან ნებისმიერ სასწაულში არის ის, რასაც ლოგიკითა და მინიერი კანონებით ვერ ახსნი.

მორწმუნეთათვის კი ცხოვრება ღვთისა და სამყაროში მისი სასწაულების აღიარების გარეშე წარმოუდგენელია. მშვენივრად თქვა გოეთემ: როგორადაც არ უნდა მოინდომოს ადამიანმა, ბუნება და მასში მიმდინარე პროცესები გონებაზე უნაშთოდ არ იყოფა, ანუ ყველგან და ყველაფერში რჩება ადგილი ირაციონალურისათვის, რწმენისათვის.

რწმენა არ გამორიცხავს მეცნიერებას: პირიქით, მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისათვის თვითონაც იღვწის (XIX-XX საუკუნეებში არაერთი გამოგონება უკავშირდება მორწმუნე მეცნიერთა და მკვლევარ სასულიერო პირთა სახელებს). მისთვის გასაგებია, რომ ესა თუ ის თეორია ან ჰიპოთეზა შეიძლება ხვალ საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდეს, ან უკეთესით შეიცვალოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და სრულყოფილებისაგან დაშორებული. მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება ისეთივეა, როგორიც იყო პირველ საუკუნეებში, მაცხოვრისა და მისი მოწაფეების მიერ

გადმოცემული და წმინდა ეკლესიის მიერ აღიარებული. ეს იმიტომ, რომ იესო ქრისტე არა მარტო სრულყოფილი ადამიანია, არამედ – ჭეშმარიტი ღმერთიც და მისი სწავლება უცდომელია.“

„საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, **თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს.**

ამ ორი პირობის შესრულება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი არსებობისა და შემდგომი განვითარებისათვის. თუნდაც ერთ-ერთი მათგანის მოკლება უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისათვის. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთა თვითმყოფადობის უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალია რჩება, რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ დანიშნულებას. კულტურა მხოლოდ მწერლობაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში არ ვლინდება, არამედ მთელი საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფა-ცხოვრებაშიც.

...ჩვენი დიდი რესურსია ინტელექტუალური პოტენციალიც. ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია. ამის მაგალითია ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომელთაც თითქმის სრულად გამოიყენეს საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო თუ ეკონომიკური მიღწევები, რამაც განაპირობა ამ ქვეყნების სწრაფი განვითარება. ჩვენთან პროცესები, სამწუხაროდ, სხვაგვარად განვითარდა, დაიშალა ქვეყნის ეკონომიკური სისტემა და გაუქმდა მთელი რიგი სანარმოები.

არ შეიძლება იგივე ბედი ეწიოს მეცნიერებას. მრავალ დარგში საქართველოს მსოფლიოში აღიარებული მკვლევარები

ჰყავს. საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში სამეცნიერო სფერო გადამწყვეტ როლს ასრულებს; მის ჩამოყალიბებას დიდი თანხა და დიდი დრო სჭირდება. გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, ქვეყანამ არ გამოიყენოს ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც მას გააჩნია.

საერთოდ, წარმატებით მხოლოდ ის ერები და სახელმწიფოები ვითარდებოდნენ, რომლებიც ალღოს უღებდნენ დროის მოთხოვნებს. სამოციანელთა მოღვაწეობით ქართველმა ხალხმა ღირსეული პასუხი გასცა რთული ეპოქის გამონვევებს და არა მარტო ფიზიკურად გადარჩა, არამედ დამოუკიდებლობისათვის სულიერადაც მოემზადა.

XX საუკუნის ბოლოს აღორძინებულ ეროვნულ მოძრაობას მრავალი ღირსეული წარმომადგენელი ჰყავდა და ბევრმა მის იდეალებს სიცოცხლეც შესწირა. დღეს ასპარეზზე უკვე სხვა ახალგაზრდები არიან. საჭიროა არ დაიკარგოს თაობათა ერთობა და ეროვნულ ფასეულობათა დაცვა ახალი მოთხოვნების შესაბამისად გაგრძელდეს.

ჯერ კიდევ ილია ამბობდა: დღეს სხვა ომია, ომი წიგნისა და ცოდნის, ცოდვა არ არის ცეცხლსა და მახვილში გამოტარებული ქართული დროშა ჩრჩილმა და მატლმა შეჭამოსო? ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, ოღონდ თანამედროვე პირობებში ვითარება კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ კაცობრიობამ შექმნა ბრძოლის ახალი ფორმა — ინფორმაციული ომი. ქვეყნებისა და პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება დღეს ძირითადად ამ საშუალებით ხორციელდება, მომავალში კი მას, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.“

**აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2006**

„მოციქულთა მიერ ნაქადაგები ქრისტიანობის აღიარებამ სხვადასხვა ქართველური ტომი ერთი რწმენით, ერთი ენით, ერთი კულტურით ერთიან ქართველ ერად შეადუღა და უნიკალური, თვითმყოფადი და მრავალფეროვანი ქართული ცივილიზაცია შექმნა, რომელმაც დიდი ნვლილი შეიტანა ზოგადქრისტიანული კულტურის განვითარებაში;

საზღვარგარეთ ქართველებმა ადრეული საუკუნეებიდანვე განამრავლეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერები. უკვე V საუკუნიდან იერუსალიმის მახლობლად არსებობს პეტრე იბერისა და მისი მასწავლებლის, იოანე ლაზის მიერ შექმნილი სამონასტრო საგანე, რომელიც ლაზთა მონასტრის სახელით არის ცნობილი. გარდა ამისა, ქართველები წმიდა მინაზე 40-ზე მეტ ტაძარს ფლობდნენ; ჩვენ მონასტრები გვექონდა, აგრეთვე, კონსტანტინოპოლში, ეგვიპტეში, კვიპროსზე, საბერძნეთში, ბულგარეთში..... რაც მაშინდელ მსოფლიო ცივილიზაციასთან აქტიური ურთიერთობის საშუალებას გვაძლევდა და ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაშიც გვეხმარებოდა.

...მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს რომ არ ჩამოვრჩეთ, საჭიროა ინფორმაციის ფლობა და ანალიტიკური აზროვნება, მითუმეტეს, დიდი სახელმწიფოების დაინტერესების სფეროში მყოფი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა.

ამიტომაც ანალიტიკური აზროვნება საჭიროა ბავშვობიდანვე ისწავლებოდეს. ამ საგნის შემოღება დიდად დაეხმარება ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს, ადვილად დაეუფლონ თავის მომავალ სპეციალობებს.

რაკი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება. კარგი იქნება, თუ საბავშვო ბაღებში, ბატონ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიაზე დაყრდნობით, პატარებს გავუღვივებთ როგორც ერთმანეთის, ისე საერთოდ, ადამიანის

თანადგომის სურვილს, პატიების უნარს, უფროსის პატივისცემას, მამულის სიყვარულს. ეს დამოკიდებულება გაჰყვება მათ სკოლაშიც და მთელ ცხოვრებაშიც.

სკოლაში აუცილებლად უნდა იყოს ფსიქოლოგი, რომელიც პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად დააკვირდება მოსწავლეს და დაეხმარება ღვთისაგან ბოძებული ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში.

აღზრდის საქმეში მასწავლებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არ შეიძლება სკოლაში შემთხვევითი ადამიანები მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ამას ჩვენთან სათანადო ყურადღება არ ექცევა, რის გამოც ყველაზე მეტად მომავალი თაობა ზიანდება. მასწავლებელს ბავშვები უნდა უყვარდეს და მშობელივით უნდა მოექცეს მათ. ამასთან, თვითონაც უნდა შეაყვაროს მათ თავისი თავი და თავისი საგანიც. აუცილებელია, რომ იგი არ შემოიფარგლოს მხოლოდ საგნის სწავლებით და ცხოვრებისთვისაც მოამზადოს ისინი. ამ მიზნით მოსწავლეებთან უნდა ჩაატაროს კლასგარეშე შეხვედრები და საუბრები მათ მომავალზე, იმ პრობლემებზე, რომელნიც შეიძლება ცხოვრებაში შეხვდეთ; ასწავლოს ავისა და კარგის გარჩევა, ასწავლიდეს სწრაფი რეაგირების კულტურას.

მიმაჩნია, რომ ყველაზე მაღალი ხელფასი საშუალო და უმაღლესი სკოლების პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ, რადგან ისინი აყალიბებენ ქვეყნისა და ერის მომავალს და არ არსებობს სხვა, ამაზე მეტად საპასუხისმგებლო, პროფესია. პედაგოგის საქმიანობა უნდა იყოს პრესტიჟული და ეს წოდებაც დიდი შრომის ფასად უნდა მიენიჭოს ამა თუ იმ ადამიანს.

თუ ამ პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ, გონიერ, ანალიტიკური აზროვნების უნარის მქონე თაობას გავზრდით, რაც დაეხმარება მას ზნეობრივად ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბებაშიც, რადგან ადამიანი, შეგნებულად თუ არ ემსახურება

ბოროტებას, ადრე თუ გვიან აუცილებლად გააცნობიერებს, რომ ეს ცხოვრება მხოლოდ გამოცდა და მომზადებაა მარადიულობისათვის და უარს აღარ იტყვის ყველაზე ძვირფასზე – უფლის სიყვარულზე.“

*აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2007*

ԵՏՄԾՅԵ
ԴՅՈՆՅՄ ԸԴՆՈ

„ქრისტიანობის მაღლით ძალმოსილი შვილები ჩვენი ერისა იღვწოდნენ ჩვენი ენის, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ფილოსოფიური აზროვნებისა და მეცნიერების წინსვლისა და აყვავებისათვის. ჩვენი ერის დიდი შვილები უპირველესად იღვწოდნენ თავიანთი სულიერი ამალეებისა და განწმენდისათვის, რათა ამის შემდეგ ქრისტეს მაღლით ძალმოსილნი უდიდეს მეცნიერულ, ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას შესდგომოდნენ.“

ქრისტეს შობა

1980/1981

ქ. თბილისი

„საქართველომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან შეითვისა მაღალი კულტურის სხვადასხვა ნაკადი. მისთვის ახლო იყო კაცობრიობის სულის ყველაზე მტკივნეული და ამაღლებული პრობლემები: სულის სრულყოფისა და ადამიანის განღმრთობისა სარწმუნოების და სიყვარულის საშუალებით, ეკლესიისა და სახელმწიფოს, ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული კულტურების ურთიერთობისა, ფილოსოფიური აზროვნებისა, მწერლობისა და არქიტექტურისა, ფერწერისა და მუსიკისა; ყოველივე ეს მწვავედ იდგა და დღესაც დგას ჩვენი ხალხის წინაშე. რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა უდიდესი შინაგანი ძალა, თავისი მოწამეების, განმანათლებლების, პოეტების, მხატვრობისა და თავისი უშიშარი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის სახით. ერთი მთავარი წყაროთაგანი, საიდანაც ქართველები იღებდნენ თავიანთ სულიერ ძალებს – ესაა უძველესი და მადლიანი ქართული ენა, რომელზეც საოცრად მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, ესაა ენა, რომლის შესახებ ლირსმა მამა იოანე-ზოსიმემ თქვა: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

ქრისტეს შობა

1981 / 1982

ქ. თბილისი

„ჩვენ არ გვაქვს უფლება თანამედროვე ცივილიზაციის ყველა უბედურების სანჯისად მეცნიერება დავსახოთ. ადამიანი უბრალოდ სულიერად მოუმზადებელი შეხვდა მეცნიერულ აღმოჩენებს. პიროვნების სულიერი განვითარების პროცესი მეტად ჩამორჩა ტექნიკურ პროგრესს და რადგან ერთი მეორეს არ განაპირობებს, დაირღვა წონასწორობა; ამან კი წარმოშვა საშიშროება და ჩვენს წინაშე დააყენა მრავალი გადაუჭრელი პრობლემა.“

*ქრისტეს შობა
1992 / 1993
ქ. თბილისი*

„ძალიან ხშირად ცოდნას და რწმენას უპირისპირებდნენ ერთმანეთს, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებდა როგორც რწმენაზე, ისე მეცნიერებაზე. ცოდნა და რწმენა თვითმიზანი კი არ არის, არამედ გზაა ჭეშმარიტებისა და ღვთისაკენ მიმავალი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი მისტიკოსისა და ფილოსოფოსის, მაქსიმე აღმსარებლის სიტყვები: „ცოდნა, ღვთის შიშისაგან აულაგმავი, შობს ქედმაღლობას“.

ვფიქრობ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს, რომლის პროგრამებიც კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვს.

სკოლებშიც და ინსტიტუტებში სრულიად არ ექცევა ყურადღება ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას. ჩვენი გოგონები და ყმაწვილები მოკლებულნი არიან ელემენტარულ სარწმუნოებრივ და მორალურ აღზრდას, არ იციან ეთიკური ნორმები, ოჯახში და საზოგადოებაში ქცევის წესები.

ძველ დროს ამ საკითხებით მშობლები იყვნენ დაკავებულნი, ახლა დედაც და მამაც მსახურობენ და არა აქვთ დრო შვილებისათვის, ანდა თვითონაც არ ყოფნით დონე სათანადო აღზრდის მისაცემად.

დღეს ჩვენს ახალგაზრდობას ძირითადად ქუჩა აყალიბებს, რის სამწუხარო შედეგსაც უკვე იმკის თითქმის ყველა ოჯახი.

მთავრობის ხელმძღვანელობით, მიმაჩნია, უნდა შეიქმნას მეცნიერთა კომპეტენტური კომისია, რომელიც თავის მხრივ ჩამოაყალიბებს ცალკეულ ქვეჯგუფებს სასწავლო პროგრამების შესადგენად. ასეთი კომისიები, ალბათ უკვე არსებობენ, მაგრამ ისინი უნდა გაძლიერდეს და მათი მუშაობის ეფექტურობა შემოწმდეს.

უპირველეს ამოცანად ასევე მიგვაჩნია, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლებისთვის ღრმა აზროვნების კურსის შედგენა.

გულის კარნახს, რომელიც ჩვენს ხალხში ხშირად ბატონობს გონების განსჯაზე, ხშირად მივყავართ გაუთვალისწინებელ და მძიმე შედეგებამდე.

დღეს, როდესაც ასე ბევრი სიძნელეა გადასალახი, აუცილებელია ღრმა, აბსტრაქტული და ანალიტიკური აზროვნება, რაც მოგვცემს საშუალებას განვჭვრიტოთ შესაძლო კოლიზიები ამა თუ იმ მოქმედებისა და თავი ავარიდოთ არასწორ გადაწყვეტილებებს.

დანებით და საშალო სკოლებში მეტად სასურველია იკითხებოდეს სულიერი და ზნეობრივი კულტურის კურსი, რომელიც შეეხება ღმერთს, სარწმუნოების, სიყვარულის, ბოროტებისა და სიკეთის, ამპარტავნების, თავმდაბლობის, მიტევების, შერიგების, ადამიანებთან ურთიერთობის საკითხებს ან ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ცხოვრების ყოველდაუცილებელ ნორმებს.

ყველა უმაღლეს სასწავლებელში კარგი იქნებოდა, რომ ისწავლებოდეს ზნეობრივი ფილოსოფიის კურსი. არ არსებობს ისეთი ღვთისმეტყველი ან ფილოსოფოსი, რომელიც არ ეხებოდეს ადამიანის ზნეობის საკითხებს. ამ ფილოსოფოსთა განსჯის გაცნობა მეტად გაამდიდრებს ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს.

სკოლებში აუცილებელია ესთეტიკური კურსის შეტანა. ხალხში თანდათან იკარგება სილამაზის გრძნობა. ადამიანი იმდენად გაუხეშდა, რომ აღარც ბუნების აღქმის უნარი აქვს, არც მუსიკის განცდისა. კულტურა სულიერებისაგან დაიშრიტა, უღვთო და უსულო გახდა. ხელოვნება, რომელმაც უნდა აღზარდოს ადამიანები და სულიერი ამაღლებისა და ზნეობრივი სრულყოფის კიბეზე აიყვანოს ისინი, უშინაარსო გასართობად იქცა.

შევძლებთ ამ წინააღმდეგობების გადალახვას? შევძლებთ შევალთ ახალგაზრდების შინაგანი სამყაროს კარი, რათა დაი-

წყოს იქ ფერისცვალების დიადი პროცესი? ძნელია ეს, მაგრამ ყოვლადაუცილებელი.

ამისთვის არ უნდა დავიშუროთ ჩვენი მწირი შესაძლებლობანი და გავაკეთოთ ყველაფერი ჩვენი მომავალი თაობის, ქვეყნის ხვალისდელი დღის სწორი აღზრდისათვის.“

ქრისტეს შობა

1993/1994

ქ. თბილისი

„მაღალი კულტურა და განვითარებული ტექნიკა ხალხის ბედნიერებისთვის არ არის საკმარისი; არის ღირებულებანი, რომელიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში საუკუნეობით იქმნებიან და ყალიბდებიან და რომელთა დაკარგვაც დანაშაულია. ჩვენთვის ასეთია: მართლმადიდებლური სარწმუნოება, მოციქულთაგან ბოძებული, მუსიკა, – ყველას რომ აღაფრთოვანებს, ჩვენი ენა და დამწერლობა, იდუმალებით სავსე და დიდებული; გასაოცარი ხელოვნება, ხატუნა, არქიტექტურა, ჩვენი მშვენიერი ნეს-ჩვეულებანი.

მიმაჩნია, რომ ჩვენი ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის სულიერი აღზრდისა და ამაღლების მიზნით უნდა დაარსდეს კულტურის დიდი ცენტრი, სადაც ბინას დაიდებს სასულიერო და საერო ხელოვნების გამორჩეული ნიმუშები, მოეწყობა დროებითი და მუდმივი გამოფენები თანამედროვე ქართველი და უცხოელი ოსტატებისა.

კულტურის ამ ცენტრში ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს ქართულ არქიტექტურას, უნდა დაარსდეს მინანქრის, ქედურობის, ხეზე კვეთის, ქარგვის, ქსოვის, ქვის დამამუშავებელი სახელოსნოები. ყოველივე ამისთვის, ვფიქრობ, შესაფერისი რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ყოფილი მთავრობის სასახლის შენობა იქნება. ამ შემთხვევაში იგი არა მარტო საგამოფენო ადგილად, არამედ ჩვენს სულიერ და ზნეობრივ სკოლადაც იქცევა.

როდესაც ჩვენი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ვლაპარაკობთ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საკუთარ ნაჭურჭში ჩაკეცვა გვსურს და სხვისგან აღარაფრის სწავლა აღარ გვჭირდება. არა, ჩვენ გონიერ შრომისმოყვარე ფუტკარს უნდა დავემსგავსოთ, რომელიც ნექტარს მხოლოდ იმ ყვავილებისგან აგროვებს, რომელიც თავლისთვისაა გამოსადეგი.“

*ქრისტეს შობა
1994/1995, ქ. თბილისი*

საახალწლო ეპისტოლე

„გვახსოვდეს, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური დამწერლობის ხმარებიდან განდევნით ჩვენივე ნებით ვაშენებთ ყრუ კედელს წარსულსა და მომავალს შორის. თანამედროვე ქართველი კაცისათვის თანდათან უცხო და გაუგებარი ხდება უძველესი ქართული გამოცემები, თუმცაღა ისინი იმავე ღვთიური მადლით გასხივოსნებული, დინჯი და დარბაისლური ქართულით გვიამბობენ ერის გარდასული ცხოვრების ჭირსა და დაღბინებას.

ყოველმა საშუალო სკოლადამთავრებულმა უნდა იცოდეს ასომთავრული და ნუსხა-ხუცური წერა-კითხვა. ამ საშვილიშვილო საქმეში დაუფასებელი დახმარების განევა შეუძლიათ ძველი ქართული ენის მასწავლებლებს.

ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ ასომთავრული და ხუცური დამწერლობა, არ მოშალონ ხიდი – აკვედუკი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის, როგორც ერთადერთი გზა, რომლითაც მოაღწია ჩვენამდე ენამ, რწმენამ და ქართველი კაცის გენიამ.

ძველქართული დამწერლობის ცოდნა ყოველი ქართველის ვალია. იგი ფარად და მახვილად ეპყრა მოციქულთა სწორ წმიდანინოს, რომელმაც ქართველი ერი საბოლოოდ აზიარა ქრისტეს რწმენას. ძველქართულ ენაზე მეტყველებდნენ ქართველი წმიდანები; ღირსნი მამანი და დედანი, რომელთა ღვაწლი განუზომელია ღვთისმშობლის ნილხვედრი საქართველოსთვის, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ნათელყოფაში.“

იანვარი, 1982

საახალწლო ეპისტოლე

*გარდამოიხილე ზეციით, ღმერთო,
და იხილე და მოხედე ვენახსა ამას, და განამტკიცე ესე,
რომელ დაასხა მარჯუენემან შენმან.
(მღვდელმთავრის კონდაკი)*

„ბოლო წლებში ჩვენს სახელმწიფოში საფუძველი ჩაეყარა შესანიშნავ წამოწყებას, რომელსაც ეწოდება „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“. ასეთი მასობრივი ძიება უნდა იყოს ყველა დარგში. განსაკუთრებული მოვალეობა ამ მხრივ ეკისრებათ ჩვენს მეცნიერებს, პოეტებს, ხელოვნების მუშაკებსა და საერთოდ ყველა შეგნებულ ადამიანს.“

თბილისი, 1983

საახალწლო ეპისტოლე

საქართველოს წმინდა ეკლესიის ღვთივკურობხეულ შვილებს
ძენო და ასულნო ღვთისანო, სულიერნო შვილნო ჩემნო!
„ღმერთმან... კეთილსა კაცსა წინაშე მისსა
მისცა სიბრძნე და მეცნიერება, და სიხარული“
(ეკლესიასტე 2, 26)

„ოჯახი არის ის გარემო, სადაც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება. აქ ისმენს ის პირველ ზღაპარს, აქ ეზიარება რწმენასა და სიყვარულს, აქ ღვივდება მისი სული, აქ იქცევა პიროვნებად.“

თბილისი, 1987

სახალწლო ეპისტოლე

„მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვრთ-მძიმენი, და მე განგისუენო თქუენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, და ისნავეთ ჩემგან, რამეთუ მშვედ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“

(მათე 11, 28-29)

(მათე 11, 28-29)

„ფართო გაგებით მეცნიერება ერთობლიობაა ყოველგვარი ცოდნისა, რომელსაც გონებრივი შემონახვა ან გაანგარიშება აქვს გავლილი და ცნობილ სისტემურ წესრიგშია მოყვანილი, დაწყებული თეოლოგიით, მეტაფიზიკის, წმინდა მათემატიკით და დამთავრებული ნუმისმატიკით... ისტორიულად დადასტურებულია, რომ მეცნიერება თუმცა გამოყოფილია და დამოუკიდებლად განაგრძობს განვითარებას, მაგრამ იგი ამა თუ იმ ფილოსოფიური სისტემიდან ყოველთვის იღებდა დასაბუთებულ გამაერთიანებელ საწყისს (ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია).

როდესაც მეცნიერებაზე ვსაუბრობთ, უნებურად ისმის კითხვა: ეწინააღმდეგება თუ არა ერთმანეთს მეცნიერება და რწმენა?

ბოლო ათწლეულების მანძილზე ბევრი ითქვა და დაინერა ისეთი, რაც, ერთი შეხედვით, მათ დაპირისპირებას ამტკიცებს. ამტკიცებს იმასაც, თითქოს მეცნიერებით ყველაფრის ახსნა შეიძლებოდეს; მაგრამ, განა შეიძლება მეცნიერების საშუალებით გადაწყდეს სულიერი პრობლემები, როცა იგი უძლურია, გაარკვიოს ფიზიკური წესრიგის ესა თუ ის მოვლენაც კი?

განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი

ფიზიკურს, ხოლო მეორე სულიერს? ისინი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

თავისთავად მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია. იგი ადამიანის ინტელექტის, ადამიანის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა. ამიტომაც მეცნიერების მონაპოვარი დალოცვილია და უნდა გამოიყენებოდეს პიროვნების სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობისათვის მხოლოდ და არა მის დასათრგუნად.

თანამედროვე პირობებში, როცა ფერისცვალება ხდება სოციალურ-ეთიკურ სფეროში, როცა მიმდინარეობს დევალვაციის რთული პროცესი, როცა ტრადიციული ღირებულების ნაცვლად იბადება ახალი მეცნიერულ-ტექნიკური სიახლენი, მთავარია, არ დაგვკარგოთ თვითონ პიროვნება, არ დავუკარგოთ მას ის თვისებები, რაც გააჩნია ადამიანს, როგორც ღვთის ხატებას.

არადა დღეს საზოგადოების პროგრესზე ხშირად მსჯელობენ თითოეული მოსახლის კეთილდღეობის მიხედვით; სულიერი და ზნეობრივი კულტურის გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები კი ხშირად მეორე პლანზე რჩება.

თუ გვსურს საზოგადოების წინსვლა, უნდა ვიზრუნოთ მისი კულტურის ამალღებაზე, რაც გულისხმობს ადამიანში ადამიანურობის გამოვლენას, ადამიანის „გაადამიანებას“, რომ იგი იყოს არა მარტო მატარებელი სიკეთისა და სილამაზისა, რომლითაც დაგვაჯილდოვა შემოქმედმა, არამედ ამ მარადიულ ღირებულებათა მთესველიც.

ახალგაზრდების ცხოვრება რომ სწორი გზით წარვმართოთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ გულის კულტურას; გულის სინმინდე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მადლია.“

თბილისი, 1988

საახალწლო ეპისტოლე

საქართველოს ეკლესიის ღვთივკურთხეულ შვილებს,
მკვიდრთა საქართველოებსა და უცხოეთში მცხოვრებ
ჩვენს თანამემამულეთ

„მეფიქვით ღმერთსა, და მოგეახლოს თქვენ“
(იაკობი 4, 8)

„ზოგჯერ ამბობენ: მეცნიერება და რწმენა ერთმანეთს
ენინააღმდეგებაო. არ არის სწორი. განა შეიძლება ისინი დაუ-
პირისპირდნენ ურთიერთს, როდესაც ჩვენი ყოფის სულ სხვა-
დასხვა სფეროებს მოიცავენ: რწმენა – სულიერს, მეცნიერება
– მატერიალურს? ისინი ერთმანეთს კი არ გამოორიცხავენ, არა-
მედ ავსებენ და აუცილებელნი არიან პიროვნებისა და საზოგა-
დოების ნორმალური განვითარებისა და არსებობისათვის.“

თბილისი, 1985

საახალწლო ეპისტოლე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთიკურთხეულ ერთგულ შვილებს

„ნეტარია და ნმინდაა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში.
მეორე სიკვდილს არა აქვს ხელმწიფება მასზე“
(გამოცხ. 20, 6)

„ცოდნის დაგროვება დაბადებიდანვე იწყება. ჩვილ ასაკ-შივე ბავშვს შეხება აქვს მშობლებთან, ახლობლებთან, გარემოსთან, საიდანაც იძენს იგი ე.წ. ემპირიულ ცოდნას. სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერული მოღვაწეობა... აფართოებენ და აღრმავებენ პიროვნების თვალსაწიერს, იბადება ახალი იდეები, ჩნდება ახალი სიღრმეები. ცოდნის გაფართოება არ უნდა შეჩერდეს. მაგრამ ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ხდებოდეს წიგნების კითხვით, თვითანალიზით, დიალოგის გზით და არა ტელევიზიის გადაცემების საშუალებით, რომელიც ზედაპირულ ინფორმაციას იძლევა მხოლოდ.

ჭეშმარიტი ცოდნა და ჭეშმარიტი მეცნიერება აუცილებლად მიიყვანს ადამიანს ღმერთთან. სამწუხაროდ, ხდება ისეც, რომ ზოგიერთი მთელი ცხოვრება ეძებს, მაგრამ ვერ იძენს ჭეშმარიტ ცოდნას ანუ იმ ცოდნას, რომელიც მას ღმერთთან დაახლოვებს. მოციქული პავლე პირდაპირ ამბობს: „ის, ვინც მთელი ცხოვრება ეძებს და ვერ პოულობს, მისი სამსჯავრო უკვე შემდგარია“. არადა, რამდენი ადამიანი წავიდა ამქვეყნიდან ისე, რომ ჭეშმარიტებასთან არ ჰქონია შეხება; ეს იმიტომ, რომ ან საერთოდ არ ეძებდნენ მას, ანდა არ ეძებდნენ იქ, სადაც მისი პოვნა შეიძლებოდა.

ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე საიმედო საყრდენი და ორიენტირი არის მართლმადიდებლური სარწმუნოება. მე ხაზს ვუსვამ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, რადგან სწორედ არასწორი სარწმუნოება ამოორებს ყველაზე ხშირად ადამიანს ჭეშ-

მარიტებისაგან და საბოლოო ჯამში ღუპავს მას. უნდა გვახსოვდეს, ქვემარიტების ძიება რთული პროცესია; რუდუნებით სავსე, სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური შრომაა, რომლისათვისაც ყრმობიდანვე უნდა მოვამზადოთ მომავალი თაობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების რელიგიურ აღზრდას, მათში ნამდვილი ქრისტიანული სულის გაღვივებას. მითუმეტეს დღეს, როდესაც ჩვენი გარემო სამყარო საპირისპირო მიმართულებით ვითარდება.

მოზარდს თავიდანვე უნდა გავუღვივოთ „წმიდა წერილისადმი“ მონივნება და სიყვარული, ეკლესიური ცხოვრების სურვილი. დავანახოთ ცოდვა და ცოდვითი მიდრეკილებანი, ვასწავლოთ გარჩევა სიკეთისა და ბოროტებისა, ვასწავლოთ სინანული, შერიგება, უნარი დანაშაულის აღიარებისა, სიმართლის დაცვისა, ისინი უნდა მივაჩვიოთ სიყვარულით ცხოვრებას, სხვისი ტკივილის გათავისებას, ზრუნვას გაჭირვებულებისა და ავადმყოფებისადმი და საერთოდაც: უნდა აღვზარდოთ მათში სურვილი, იცხოვრონ და იღვანონ ღმერთთან, მოყვასთან და ბუნებასთან თანხმობასა და კავშირში.

როდესაც ვლაპარაკობთ სასწავლო პროგრამების რეორგანიზაციაზე, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ შრომის სწავლებაზეც, რათა აღვზარდოთ ისეთი პიროვნებები, რომელთათვისაც შრომა იქნება ბუნებრივი სასიცოცხლო მოთხოვნილება. სამწუხაროდ, არც ოჯახში, არც სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში ამ მიმართულებით დღესდღეობით არაფერი კეთდება. ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მიღებული მსწრაფლცვალებადი ყოველდღიური ინფორმაციები და სუსტი შთაბეჭდილებები კი გულმოდგინე შრომისა და მუყაითობის სურვილს უკარგავენ ახალგაზრდებს. უფრო მეტიც, საზოგადოებაში უკვე გაჩენილია უარყოფითი დამოკიდებულება შრომისადმი და მის სანაცვლოდ ბატონობს სურვილი ცხოვრების იოლი გზების ძიებისა.

ყოველ მოვლენას ჩვენ ორი სახით აღვიქვამთ: თეორიულად და პრაქტიკულად. თეორიულ ცოდნას მეცნიერება იძლევა, პრაქტიკულს – ყოველდღიური გამოცდილება. თეორიული ცოდნა ღირებულია მაშინ, თუ იგი ცხოვრებაშია გამოყენებული. ამასთან ნამდვილი ცოდნა ზნეობრივ და კეთილ საქმეებში ვლინდება. ამიტომაც თქვა ანტიკური ხანის ცნობილმა ფილოსოფოსმა სოკრატემ, რომ ცოდნა სიკეთეაო.“

*ქრისტეს შობა
1998/99*

„დღეს ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემაა ღირებულებათა გაუფასურება. ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, არწმუნებენ, თითქოს სამშობლოს სიყვარული, უფროსისადმი პატივისცემა, პატიოსნად ცხოვრება (ენისა და სარწმუნოების დაცვა) და სხვა, ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, მოძველდა; არადა, როგორ შეიძლება მოძველდეს ის, რაც მარადიულ ღირებულებებს წარმოადგენს.

...ფსევდოკულტურა, რომელიც ასე ეძალება დღეს ჩვენს ახალგაზრდობას, აშორებს მას ჭეშმარიტ კულტურასა და ხელოვნებას. დაპირისპირება ამგვარ მდარე, უგემოვნო და ნამდვილ კულტურას შორის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ჩვენი ხალხი და რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო, აშკარაა. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა პრესაც და ტელევიზიაც საეჭვო ღირებულების უცხოურ ხელოვნებას უწევს პროპაგანდას. იმედი მაქვს, ქართველი ერი, უფლის ნყალობით, ნამდვილსა და ყალბს ერთმანეთისაგან ადვილად გაარჩევს, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და ამით გადაგვარებისაგან თავის შინაგან „მესაც“ დაიცავს.“

*ქრისტეს შობა
თბილისი, 2001/2002*

„სამწუხაროდ, მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანის ინდივიდუალური სახის დაკარგვა, უფასურდება სიცოცხლე, იქმნება ისეთი მექანიზმებიც, რომელიც თითქმის აღარ ემორჩილება ადამიანის კონტროლს და ფაქტობრივად მისთვის მტრულ ძალად შეიძლება იქცეს. ყოველივე ამის პარალელურად კაცობრიობა აყალიბებს ერთიან კონტროლირებად ტექნოლოგიურ სისტემას. ამ სისტემას კი აუცილებლად სჭირდება ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღვსილი, სიყვარულით, ნებისყოფითა და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანები, რაზეც ნაკლებად ფიქრობენ.

მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კონტაქტი მეცნიერებთან და ის სასიცოცხლო და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო საკითხები, რომელიც აღელვებს მსოფლიოს, ეკლესიის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

დადგა დრო, როდესაც თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური გადაწყვეტა სასიცოცხლოდ აუცილებელი შეიქნა. ამ მხრივ ჩვენს ეკლესიაში პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ის ურთიერთობა, რომელიც ბოლო დროს ჩამოყალიბდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, სასულიერო და საერო უმაღლეს სასწავლებლებს, მეცნიერებათა აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო-კულტურულ ცენტრებს შორის იმედის მომცემია და, ვფიქრობთ, კარგ შედეგს გამოიღებს. ჩვენ მეგობრულ ხელს ვუწვდით ჩვენს ინტელიგენციას და მოხარულნი ვიქნებით, თუ შევძლებთ ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ ქვეყნის საკეთილდღეოდ. საზრუნავი კი მრავლადაა.

...რჩება ერთი გამოსავალი: უნდა შევძლოთ ახალგაზრდებში ყოველივე ნეგატიურისა და უზნეობისადმი იმუნიტეტის გამომუშავება და მათთვის მყარი მორალური საფუძვლის

შექმნა. ადრეც არაერთგზის მითქვამს, რომ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა კავშირი ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის. ვფიქრობ, ხელისუფლება თვითონ უნდა იყოს ამით დაინტერესებული, რადგან, პროცესები თუ ასე განვითარდა, საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, ოჯახს და სახელმწიფოს ემუქრება.

...განა არ არის დრო სერიოზულად დაფიქრდეს ხელისუფლებაზე, ეკლესიაზე და ინტელიგენციაზე ქვეყანაში დანაშაულებებისა და თვითმკვლელობათა რიცხვის კატასტროფული ზრდის მიზეზებზე? ჩვენ ვალდებული ვართ ვიზრუნოთ ერის მომავალზე. ვფიქრობ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება უნდა იქცეს ქვეყნისთვის სასარგებლო ერთობლივი მუშაობის საფუძვლად, უნდა დროულად მოხდეს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რეალიზება ცხოვრებაში, თუკი გვსურს ავაშენოთ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო, ზნეობრივი საფუძვლებით.“

*ქრისტეს შობა
თბილისი, 2002/2003*

„მოფუნოდებ ჩვენს ახალგაზრდებს ანალიტიკური, ფილოსოფიური, ღრმა აზროვნებისაკენ. „საერთოდ ფილოსოფია ისწრაფის, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეარიგოს გონება, გრძნობა და ნებელობა ზნეობრივი მსოფლმხედველობის კრიტერიუმების გამომუშავების მიზნით“ (ნ. გროტი), ეს კი შობს ახალ იდეებს, რომელთაც ჩვენთვის უცნობ კითხვებამდე მივყავართ. ღრმა ანალიზისა და ძიების სურვილი კი ღმერთის შეცნობის დიდ შესაძლებლობას იძლევა. მაშ, „ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდით და განგელოთ თქვენ“ (მთ. 7,7).“

*ქრისტეს შობა
თბილისი, 2003-2004*

„საერთოდ, მეცნიერებასა და განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის ფორმირება პიროვნებებად. ამიტომაც სკოლა და, ზოგადად, სასწავლებელი მარტო ცოდნას კი არ უნდა აძლევდეს მოზარდს, არამედ მან უნდა აღზარდოს იგი და თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოაყალიბოს. ამ საქმეში მეტად დიდია ოჯახისა და ეკლესიის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქირავებული დაწესებულება, ვალდებულია, თავისი საქმიანობა საზოგადოების ინტერესების შესაბამისად წარმართოს და რადგანაც საზოგადოებას ფაქტობრივად ოჯახთა ერთობლიობა და ეკლესია (რომლის წევრია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა) შეადგენს, განათლების სისტემა ეკლესიისა და ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს უნდა შეესაბამებოდეს (ვისაც სურვილი აქვს განსხვავებულ გარემოში აღზარდოს შვილები, შეუძლია ეს კერძო სასწავლებლებში განახორციელოს). ეს არის სწორედ იმის საწინდარი, რომ მომავალი თაობა ავაცილოთ თუნდაც ისეთ საშინელ სენს, როგორიც ნარკომანია და სხვა მანკიერებანია.“

*ქრისტეს შობა
თბილისი, 2007*

სიჭყვენი

**სიტყვა, წარმოთქმული
ინტრონიზაციის ათი წლისთავთან დაკავშირებით**

„გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიების შემდეგ საქართველოს ეკლესიას მრავალი საუკუნის მანძილზე აღარ ღირსებია უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. თუ ჩვენ ქართულ სასულიერო მწერლობასა და ღვთისმეტყველებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ისინი სწორედ მაშინ იდგნენ მაღალ დონეზე, როცა საქართველოში ეს უმაღლესი სასულიერო სასწავლებლები მოქმედებდნენ.“

25 დეკემბერი, 1987

**სიტყვა, წარმოთქმული შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული
რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელ სხდომაზე**

„რაც შეეხება ეკლესიას, კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველი ქართველი მოძღვარი, სასულიერო პირი – მწიგნობარი და განათლებული პიროვნება იყო, რასაც სამონასტრო ცხოვრების მაღალი დონე განაპირობებდა. მონასტრები არა მარტო სულიერი და ასკეტური მოღვაწეობის სავანეებს წარმოადგენდა, არამედ დიდ მეცნიერულსა და კულტურულ ცენტრებსაც. ისიც კარგად მოგეხსენებათ, თუ წარსულში რა დიდი ტრადიციები არსებობდა საქართველოში სასულიერო განათლებისა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის გაცნობას უცხოელთათვის. ყველამ უნდა იცოდეს, ვინ ვართ და რა წვლილი შევიტანეთ მსოფლიო საგანძურში. ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ უცხოელ ქართველოლოგებს, მათთან ურთიერთობა კი მოსაგვარებელია. სამწუხაროდ, ეს ურთიერთობა ჯერჯერობით თითქოსდა თვითდინებასაა მიცემული. ამას აღნიშნავს ყველა ქართველოლოგი, ვისთანაც კი მისაუბრია. ისინი გამოთქვამენ გულისტკივილს, რომ მათი მუშაობა არაკოორდინირებულია. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ორი მეცნიერი ერთსა და იმავე თემაზე მუშაობს და ამის შესახებ არც ერთმა იცის და არც მეორემ. ამიტომ, ვფიქრობთ, ჩვენს მეცნიერებათა აკადემიასთან, ან უნივერსიტეტთან უნდა შეიქმნას ცენტრი, რომელიც კონსულტაციას გაუწევს საზღვარგა-

რეთ მცხოვრებ ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებულ პირებს, მისცემს საჭირო თემებს დასამუშავებლად და დააინტერესებს მათ ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხებით. ეს აუცილებელია, როგორც საერთო საქმისათვის, ისე ეროვნული თვალსაზრისით.

ბოლოს, მინდა დავლოცო რუსთაველის საზოგადოება, დავლოცო სრულიად საქართველო.“

19 მარტი, 1988

სიტყვა, წარმოთქმული თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნისადმი მიძღვნილ სხდომაზე

„შემთხვევითი არ არის, რომ დავით აღმაშენებელმა უმაღლესი სასწავლებელი მონასტერთან დააარსა. ასკეტიზმი და მეცნიერება, ორივე, რჩეულთა ხვედრია და მათი შერწყმა იდეალურ პიროვნებაში ხდებოდა. ასეთი რჩეულნი მრავლად ჰყავდა საქართველოს: პეტრე იბერი, ეფრემ მცირე, ათონელი მამანი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი... თვით დავით აღმაშენებელი და სხვანი.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ გელათის აკადემიას უწოდებდნენ მეორე იერუსალიმს და მეორე ათენს. იერუსალიმით აღინიშნებოდა მისი მაღალი სულიერობა, ხოლო ათენით – მაღალი მეცნიერული დონე.

გელათის აკადემია იყო ის ცენტრი, სადაც იხვეწებოდა და მუშავდებოდა ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნება და ტერმინოლოგია. აქ ითარგმნებოდა არამარტო ცნობილ ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა ნაშრომები, არამედ ანტიკური ფილოსოფიის რჩეული ნიმუშებიც, ინერებოდა ორიგინალური შრომები.

რწმენის ასამაღლებლად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის სწავლებას, არ ცხრებოდა საღმრთო წერილში ეგზეგეტიკური მუშაობა.

ასეთი უნდა იყოს ჩვენი გეზიც. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ის პრობლემები, რომელიც დღეს დგას ჩვენი ერისა და კაცობრიობის წინაშე. თბილისის სასულიერო აკადემია უნდა იქცეს დამაკავშირებელ ხიდად თანამედროვე მეცნიერებასა და ღვთისმეტყველებას შორის.

როგორც მოგეხსენებათ, ამ საუკუნეში ბევრი ცდილობდა რწმენა და მეცნიერება გაეთიშა და დაეპირისპირებინა ერთმანეთისთვის.

განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს? ისინი ხომ ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მოიცავენ: ერთი – ფიზიკურს, მეორე – სულიერს. მაშასადამე, ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

მეცნიერება ღვთისაგან ნაკურთხია. იგი ადამიანის, როგორც ღვთის ხატების მიღწევაა. ოღონდაც ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ამ მეტად რთულ დროს სწორი მიმართულება და გამოყენება მივცეთ ადამიანის გონების ნაყოფს, უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულმა წინსვლამ ხელი არ შეუშალოს პიროვნების სულიერ განვითარებას.

მე მინდა ჩემი სიტყვა დავამთავრო სოლომონ ბრძენის გამონათქვამით: „დასაწყისი სიბრძნისაჲ არს შიში ღმრთისა... გულსა შინა სახიერისა კაცისასა განისვენებს სიბრძნე“...

1 ოქტომბერი, 1988

**სიტყვა, წარმოთქმული მისი უწმიდესობის,
სერბეთის პატრიარქის პავლეს პატივსაცემად
გამართულ დარბაზობაზე**

„აღდგენილ იქნა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც ეკლესიის ეგიდის ქვეშ გააერთიანა მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები. აკადემიამ მიზნად დაისახა მეცნიერებისა და ღვთისმეტყველების დაახლოება და თანამშრომლობა. ვფიქრობთ, სწორედ ეს არის ის გზა, რომელმაც უნდა შეაკავშიროს ჩვენი ეკლესია და მეცნიერება, რწმენა და ცოდნა.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია ეკლესიებს ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი და მორალური სიჯანსაღის საქმეში. განათლების მოღვაწეებთან ერთობლივად საჭიროა შეიქმნას სპეციალური აღმზრდელობითი პროგრამები, რომლებშიც აისახება ზნეობისა და ეთიკის ნორმები და მნიშვნელობა მართლმადიდებლობისა ჩვენს ცხოვრებაში. ამ საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშოს ჩვენმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ტელევიზიამ. პროცესი ასეთი სასიკეთო ძვრებისა ჩვენს საზოგადოებაში უკვე დაწყებულია.“

29 აგვისტო, 1996

ეკლესია მხოლოდ გაერთიანებისათვის ზრუნავს

„ღვთის მადლი რომ მოგეცემათ, ამის შემდეგ უფალს უნდა სთხოვოთ, მოგცეთ ცოდნა, რისთვისაც ინტენსიური მეცადინეობაა საჭირო. აქვე მინდა გავიხსენო ერთი ჩვენი პროფესორის სიტყვები: სასულიერო სემინარია და აკადემია ცოდნას კი არა, გასაღებს აძლევსო. აი, ამ გასაღებით უნდა გააღო მეცნიერების დარბაზი და შეხვიდე. საჭიროა წიგნთან ხანგრძლივად ჯდომა. საღმრთო წიგნების გარდა, აუცილებლად უნდა ვკითხულობდე ფილოსოფიურსა და ანთროპოლოგიურ თხზულებებს, ფსიქოლოგიას, ლოგიკასა და ისტორიას. აუცილებელია წაკითხულის განსჯა, ანუ გარჩევა იმისა, რაა მისაღები და რა დასაგმობი. ჩვენი ქალაქის მაღაზიები და ქუჩებში გამოტანილი დახლები დღეს სხვადასხვა წიგნითაა სავსე, ამიტომ ჩვენ თვითონ უნდა შეგვეძლოს განსჯა, რომელი მოგვცემს მათგან ყვეზემარტივ ცოდნას და რომელი არა.“

14 სექტემბერი, 1991

სიტყვა, წარმოთქმული განათლების სამინისტროში

„უნდა დავლოცო ის ადამიანები, რომელთაც ეკისრებათ დიდი მისია – ქართული ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება არაქართულ სკოლებში. უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა პედაგოგებმა მოსწავლეებს უნდა შეაყვარონ საქართველო და საკუთარი თავი; როცა მოსწავლეს უყვარს მასწავლებელი, იგი დიდი სიხარულით სწავლობს მის საგანს; აღსაზრდელებმა (და მათმა მშობლებმა) უნდა გაითავისონ, რომ მათთვის აღნიშნული საგნების ცოდნა აუცილებელია, თუ მომავალში სახელმწიფოს ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება სურთ.

ღმერთი გიძლოდეთ და გენოდეთ; დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მოღვაწეობა კარგ შედეგებს გამოიღებს.“

20 სექტემბერი, 2004

სიტყვა, წარმოთქმული მეცნიერებათა აკადემიაში

„თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესია მუდამ ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარების პროცესს. ჩვენთან იყო და დღესაც არის საოცარი ტრადიცია, რომელიც ჯერ კიდევ უნმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს პატრიარქობის დროს დამკვიდრდა: მეცნიერები, ჩვენი კულტურის მუშაკები იკრიბებოდნენ პატრიარქთან ხუთშაბათობით და იმართებოდა მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე. ჩვენ ვაგრძელებთ ამ ტრადიციას. და მოხარული ვართ, რომ გვაქვს ხშირი შეხვედრები როგორც მეცნიერებთან, ისე საზოგადო მოღვაწეებსა და ხელოვნების წარმომადგენლებთანაც.“

ერთმა დიდმა მეცნიერმა ბრძანა: ჩვენს წინაშე ორი დიდი ნიგნია – ბიბლია და მეცნიერება ბუნების შესახებო. და თუ ვინმე იტყვის, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ეს იმას ნიშნავს, რომ თავად ვერ იგებს ან ერთს, ან მეორეს.

ურთიერთობა რწმენასა და ცოდნას შორის ერთი უძველესი პრობლემათაგანია და იგი ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში განიხილებოდა. ამის დამადასტურებელია შრომა კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელსაც ეწოდება „სტრომატა“ ანუ „ხალიჩები“, სადაც ნათქვამია, რომ ორივე, ცოდნაცა და რწმენაც, აუცილებელია ადამიანისათვის. ეს უდიდესი მეცნიერი და ფილოსოფოსი იმის შესახებაც მსჯელობს, თუ რომელია პირველადი და ასკვნის, რომ პირველადი რწმენაა და ცოდნა მასზე არის დაშენებული. ბოლოს იგი საოცარ დასკვნას აკეთებს იმის თაობაზე, რომ მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და თანაც განათლებული, მეგობარია ღვთისა, როგორც ამას თავად სახარება გვასწავლის: უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოციქულებს მიმართავს: „მეგობარნო ჩემნო; მე არ გინოდებთ თქვენ მონას, არამედ

მეგობარს, რადგან თქვენ უკვე ყველაფერი იცით, რაც გადმოგეცით“.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თითქმის ყოველი მონასტერი საქართველოში არა მარტო სულიერი მოღვაწეობის ადგილი იყო, არამედ დიდი მეცნიერული ცენტრიც, მაგალითად, ივერთა მონასტერი ათონის მთაზე, პეტრიწონი და მრავალი სხვა. ჩვენ გვინდა, რომ ეს ტრადიცია აღდგეს, რაც არ არის ადვილი. იცით, როგორი მძიმე გზა განვლო ეკლესიამ ამ 200 წლის მანძილზე, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ტრადიცია, რომელიც ახასიათებდა ქართულ ეკლესიას, კვლავ გაცოცხლდეს და ჩვენი ურთიერთობები ახალ სიმაღლეზე ავიდეს. სწორედ ამ მიზნით დავაარსეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი, რომელიც ჩვენი სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებასა და განვითარებას მოემსახურება. ზოგიერთი თქვენგანი უკვე არჩეულია საბჭოში, რომელიც ამ ფონდის განმგებელი იქნება.

...არსებობს გამოთქმა: „მე გეხმარები შენ იმისათვის, რომ შენ საკუთარ თავს დაეხმარო.“ ჩვენი მუშაობა ეტაპობრივი უნდა იყოს.

ორიოდე დღის წინ ჩვენს რადიოში ბატონი შოთა ნადირაშვილის ძალიან საინტერესო ლექციას ვუსმენდი, სადაც ბატონი შოთა საუბრობდა იმაზე, რომ წინა მთავრობებმა ვერ შემოგვთავაზეს ისეთი იდეა, რომელსაც ხალხი გაჰყვებოდა და მხარს დაუჭერდა. ჩვენ ამ ფონდით ისეთი იდეა უნდა შევქმინათ, რომ მთელი ერი ამოგვიდგეს მხარში და ამაში თქვენი დახმარება ძალიან გვჭირდება.

...მინდა, მოგახსენოთ კიდევ ერთი რამ: რამდენიმე წლის წინ მე გამოვთქვი თვალსაზრისი სასკოლო პროგრამაში ღრმა

აზროვნების, განყენებული თუ ფილოსოფიური აზროვნების კურსის შეტანის თაობაზე. რა თქმა უნდა, მასში ლოგიკაც შევიდოდა, ანთროპოლოგიაცა და ფილოსოფიაც. შეიძლებოდა ამ კურსს დიალოგების სახე მისცემოდა. იგი ხელს შეუწყობდა გონების განვითარებას. რადგან როგორც ჩვენს ფიზიკურ კუნთებს სჭირდება ვარჯიში, ასევე სჭირდება ვარჯიში ჩვენს გონებასაც.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართველები ემოციური ხალხი ვართ და ჩვენში გულისა და გრძნობების კულტურა ქარბობს. ჩვენ ჯერ ვაკეთებთ და ვაკეთებულს გონებით მხოლოდ შემდეგ ვაკონტროლებთ. პირიქით კი უნდა იყოს, გასაკეთებელი საქმე და გადასადგმელი ნაბიჯი, ჯერ გონებით უნდა განვსაჯოთ და გავიაზროთ და შემდეგ გავაკეთოთ და გადავდგათ. ეს ძალიან სერიოზული საკითხია. თუ ჩვენ შევიტანთ საშუალო სკოლაში ასეთ საგანს, მაშინ საშუალო სკოლის დამთავრებისას გვეყოლება მოაზროვნე ადამიანი, რომელიც იმ შეცდომებს, რომლებსაც დღეს უშვებს ახალგაზრდა, აღარ დაუშვებს. ვფიქრობ, ასეთი კურსის შექმნა ამ ფონდის ერთ-ერთი მიზანიც იქნება და მის განხორციელებაში განათლების მინისტრიც დაგვეხმარება. ბევრია ისეთი საკითხი, რომელიც გადადებას არ ითმენს და გადაჭრას ახლავე მოითხოვს. მაგალითად, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მილიონზე მეტი ახალგაზრდა გასულია უცხოეთში, ზოგი მათგანი დაბრუნდება, ზოგი, ალბათ, – არა. როგორ დავეხმაროთ, რომ მათ არ დაივიწყონ მშობლიური ენა და არ მოსწყდნენ თავიანთ ფესვებს? ჩვენ ამაზეც უნდა ვიფიქროთ .

ასე რომ, ეს ფონდი ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს და თქვენი დახმარება ძალიან გვჭირდება. კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის.“

6 თებერვალი, 2005

„შესრულდა 15 წელი, რაც მკითხველმა გაზეთ „მადლის“ პირველი ნომერი მიიღო და მართლაც სასწაული მოხდა, „მადლმა“ მადლი მოიტანა საქართველოში. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში გაზეთში ქვეყნდებოდა ბიბლიის კომენტარები, კულტურის, ერისა და ეკლესიის ისტორიის საკითხები, ეკლესიისა და ინტელიგენციის ურთიერთობის ამსახველი წერილები და ინტერვიუები, სტატიები თავდადებულ წინაპართა და გამოჩენილ პიროვნებათა შესახებ. „მადლი“ ჩვენი ახალგაზრდობის მასწავლებლად და საყვარელ გამოცემად იქცა.“

კათოლიკოს-პატრიარქის მოლოცვა

29. 05. 2005

**სიტყვა, წარმოთქმული საერთაშორისო
სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში –
წარსული, აწმყო, მომავალი“ გახსნაზე**

„ორიათასწლოვანი ისტორია ჩვენი ქვეყნისა ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი კულტურა, არქიტექტურა, მწერლობა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე იყო დაფუძნებული. ქრისტიანობა იყო ის მთავარი ძალა, რომელზეც შენდებოდა ჩვენი სულიერი შენობა. ამასთან ერთად, მინდა ვთქვა, რომ საქართველოში ქრისტიანობა და ქრისტიანული რწმენა მუდამ იყო დაკავშირებული ცოდნასა და მეცნიერებასთან. ჩვენი ისტორიიდან კარგად ვიცით, რომ ყოველი მონასტერი, ყოველი სულიერი სავანე არა მარტო სულიერი მოღვაწეობის ადგილი, არამედ დიდი მეცნიერული ცენტრიც იყო.

...ჩვენ დღეს ვცხოვრობთ მესამე ათასწლეულში, მეტად რთულ პერიოდში, რომელსაც გლობალიზაციის პერიოდს უწოდებენ. ხშირად არასწორად განმარტავენ იმას, თუ რას ნიშნავს გლობალიზაცია ჩვენს ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იგი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ გამოიწვია, და ამდენად გარდაუვალი პროცესია. ჩვენ მას ვერ შევჩერებთ და არც არის საჭირო. ზოგიერთი გლობალიზაციაში ერთსახოვანი საზოგადოების შექმნას გულისხმობს, რაც მცდარი შეხედულებაა; საკაცობრიო ფასეულობამ არ უნდა დათრგუნოს და არ უნდა დაფაროს ის ეროვნული და სულიერი ფასეულობანი, რომელნიც ამა თუ იმ ქვეყანასა და ხალხს გააჩნია. სხვათა აზრით, გლობალიზაცია – ეს არის ჰეგემონია ძლიერი ქვეყნებისა, არც ესაა სწორი; ეს რომ მოხდეს (და მე ვფიქრობ, რომ ეს არასდროს მოხდება), კაცო-

ბრიობა დაკარგავს კულტურათა იმ მრავალსახეობას, იმ დიდ ეროვნულსა და სულიერ ფასეულობებს, რომელნიც ამა თუ იმ ერმა საუკუნეების განმავლობაში შექმნა. ზოგიერთი გლობალიზაციას კულტურულ ჩერნობილსაც კი უწოდებს, რაც, რა თქმა უნდა, ასევე მცდარია. ჩვენ რეალურად უნდა შევხედოთ ამ პროცესს და იმის შესახებ უნდა ვიფიქროთ, რა ნვლილი შევიტანოთ მასში და როგორ შევხვდეთ ამ მოვლენებს.“

24 ნოემბერი, 2005

**სიტყვა, წარმოთქმული საერთაშორისო
სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში –
წარსული, აწმყო, მომავალი“ დახურვის დღეს**

„თითქმის ყველაფერი, რაც გაკეთდა მუსიკაში, ლიტერატურაში, არქიტექტურასა თუ მეცნიერებაში – დამყარებული იყო და დღესაც ემყარება ქრისტიანულ სარწმუნოებას. საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც საოცრად იყო შერწყმული ცოდნა და რწმენა; ჩვენ ამის არაერთი მაგალითი გვაქვს.“

26 ნოემბერი, 2005

სიტყვა, წარმოთქმული მეცნიერებათა აკადემიაში

„ცოდნისა და რწმენის საკითხი უძველესი პრობლემაა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში იდგა ეს საკითხი და მას ძალიან აქტიურად შეეხო ისეთი ცნობილი მეცნიერი, როგორც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი თავის სერიოზულ ნაშრომში „სტრომატები“. მისი აზრით, ადამიანს აუცილებლად სჭირდება ცოდნაც და რწმენაც, მაგრამ პირველადი მაინც რწმენაა, ანუ რწმენაზე უნდა იყოს აშენებული ცოდნა და საერთოდ მეცნიერება. საოცარი დასკვნა გამოაქვს კლიმენტი ალექსანდრიელს. იგი ამბობს, რომ თუ ადამიანი მხოლოდ მორწმუნეა, იგია მონაა ღვთისა, მაგრამ თუკი ის მორწმუნეცაა და განათლებულიც, მაშინ მეგობარია ღვთისა. ეს ტერმინი „მეგობარი ღვთისა“ სახარებიდანაა აღებული; უფალი ჩვენი იესო ქრისტე მიმართავს მოციქულებს: „მეგობარნო ჩემნო“ და განმარტავს, რომ მონამ არ იცის, რას ფიქრობს და რას აკეთებს ბატონი, ხოლო მეგობარმა იცის.“

24 იანვარი, 2006

ԺԵՂԵՂԻՆ

„აუცილებლად უნდა ვიშრომით და ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ. დღეს ახალგაზრდების ერთი ნაწილი დაუსაქმებელია. დაამთავრებენ რომელიმე სასწავლებელს და ან სამსახურს ვერ მოულობენ, ან, უბრალოდ, შრომა არ უნდათ. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საპატრიარქოსთან სოფლის მეურნეობის კოლეჯი შეიქმნას, რომელშიც საშუალო განათლების მქონე, 30 წლის ასაკამდე ახალგაზრდები ისწავლიან. მსურველებმა საბუთები საპატრიარქოს კანცელარიაში უნდა შემოიტანონ. სასწავლებელში ჩაირიცხებიან ღირსეულები, ისინი ვინც გასაუბრებას გაივლიან და გამოცდებს ჩააბარებენ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველი კაცი მუდამ მშრომელი იყო. სამწუხაროდ, ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მან შრომის უნარი, უფრო სწორად, შრომის სურვილი დაკარგა, მაშინ როცა მინასთან და ბუნებასთან მუდამ განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა. საერთოდ, ბუნება ადამიანს არა მხოლოდ ასაზრდოებს, არამედ კურნავს კიდევაც. მასთან სიახლოვისას სიცოცხლის წყურვილი ძლიერდება და ახალი იდეები იბადება. ჩვენი სასწავლებელი ძალიან სერიოზული იქნება; სტუდენტი, რომელიც ლექციებს უმიზეზოდ რამდენჯერმე გააცდენს, გაირიცხება, რადგან კოლეჯში მხოლოდ იმან უნდა ისწავლოს, რომელიც ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდება. საპატრიარქოს მიწის დიდი ნაკვეთები აქვს. ასე რომ, სპეციალისტებს, რომლებიც კოლეჯს დაამთავრებენ, ჩვენ თვითონვე დავასაქმებთ. სასწავლებელი მრავალპროფილიანი იქნება: გამწვანება, ეკოლოგია, სამკურნალო მცენარეების გამრავლება-გამოყენება და სხვ. კოლეჯში მხოლოდ იმ ახალგაზრდებს მივიღებთ, რომელნიც არც არსად სწავლობენ და არც არსად მუშაობენ, რადგან რა-

მდენიმე ადგილას პარალელურად სწავლა და მუშაობა იმას ნიშნავს, რომ არსად არაფერს გააკეთებენ. სტუდენტებს სტიპენდია დაენიშნებათ, ასე რომ, პურის ფული ექნებათ. ეს კარგი ნამონყება შემდეგში შეიძლება დაგვირგვინდეს და კოლეჯი უმაღლეს სასწავლებლად გადაიქცეს. ახალგაზრდებს ჩვენ მართო ფერმერობას კი არ შევასწავლით, არამედ ლოცვასაც და სახარების კითხვასაც, რათა უფალთანაც და ეკლესიასთანაც უფრო ახლოს იყვნენ; სიკეთეს, სიყვარულსა და ერთმანეთის პატიებას ვასწავლით, რაც ასე სჭირდება დღეს საქართველოს და რაც ჩვენს ერს იხსნის. ჩვენს ქვეყანას მხოლოდ რწმენა, ლოცვა და შრომა გადაარჩენს.“

*სიონი, 16 სექტემბერი,
2001*

„მე ვფიქრობ, რომ ამქვეყნად საკუთარი ადგილის მიგნება თვით პიროვნებაზეა დამოკიდებული. ახალგაზრდამ პროფესიად ის უნდა აირჩიოს, რის გაკეთებაც ყველაზე მეტად უყვარს, მოსწონს და ეხერხება.“

სიონი, 17 თებერვალი, 2002

„კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ უნდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული და სულიერი საუნჯე, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ასევე ჩვენი უდიდესი საუნჯეა და რომლითაც ამაყოფს არა მარტო ქართველი კაცი, არამედ მას კაცობრიობაც თავისად მიიჩნევს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ეს საუნჯე შევინარჩუნოთ და არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ გავაძლიეროთ და გავამრავლოთ კიდევ. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს სხვა კულტურათა უარყოფას. მათგან უნდა შევითვისოთ ის, რაც ჩვენთვის სასარგებლოა, რაც სასარგებლოა ადამიანის სულიერი განვითარებისთვის, მისი სულის ცხოვრებისათვის, ხოლო რაც არ არის მისაღები, ის უნდა უარვყოთ. დაე, ამის გარჩევის უნარი გვიბოძოს ღმერთმა!“

სიონი, 2 ნოემბერი, 2003

„...ქართველი კაცი უნდა გაუფრთხილდეს ეროვნულ ფასეულობებს – მამულს, ენას, სარწმუნოებას, ჩვენს ისტორიას, კულტურას, მწერლობას, მუსიკას – ყოველივე ეროვნულს. და კიდევ, რაც მნიშვნელოვანია – ეს არის ქრისტიანული მენტალიტეტი, მართლმადიდებლური აზროვნება. აი, ეს ორი ძალა – ჭეშმარიტი რწმენა და ჩვენი დიდებული კულტურა – გადაარჩენს საქართველოს.“

*ქალაგება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის
ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე
სიონი, 4 დეკემბერი, 2003*

„ჩვენი მიზანი მუდამ იყო და არის სულიერი, ზნეობრივი და კულტურული ფასეულობების დაცვა, მათი შენარჩუნება. თქვენ იცით, ახლა რთული პერიოდია ინტეგრაციისა და გლობალიზაციისა. მსოფლიოში მეტად რთული და შეუქცევადი პროცესები მიმდინარეობს. ამ დროს ერმა უნდა გადაარჩინოს თავისი სულიერი ფასეულობანი. მაგრამ ფაქტია, შეუძლებელია, რომ შეაჩერო უმსგავსო სატელევიზიო გადაცემები, რომელიც ამ ბოლო დროს ასე გახშირდა ეთერში. საქართველოში ჯერ კიდევ შეიძლება, სთხოვო და ვილაცას გააგებინო, რა არის კეთილი და რა ბოროტი, მაგრამ უცხოეთს ამას ვერ აუხსნი. ამიტომ, ჩვენმა ხალხმა უნდა გამოიმუშავოს გარკვეული იმუნიტეტი, შეიძინოს სულიერი ძალა, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი სარწმუნოების ნიადაგზე. ამ იმუნიტეტის წყალობით, ცოდვამ და ბოროტებამ ვერ უნდა დაიპყროს ადამიანის გონება და გული. მე არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, თუ როგორ აღწევს სულში ბოროტება: ადამიანში ჯერ იგი თვალიდან შედის, შემდეგ გონებაში ადის, მერე გულამდე აღწევს, ბოლოს კი მთელს სხეულს მოიცავს. ამ დროს უკვე ძნელია მასთან ბრძოლა. მაგრამ როცა ადამიანს აქვს სულიერი ძალა, სულიერი იმუნიტეტი, შეუძლია გაუმკლავდეს ცოდვას, რადგან ძალა შესწევს სულიერი ბარიერი აღმართოს და ცოდვა თავის გონებასა და გულში აღარ შეუშვას.

...კიდევ ერთხელ მინდა გითხრა, რომ ფსევდოკულტურა დაუბრკოლებლად შემოდის ჩვენთან, რაც მეტად საშიშია. მე იმის თქმა კი არ მსურს, რომ ჩვენ ძალიან კარგები და სხვებზე უკეთესები ვართ, არამედ იმისი, რომ სიკეთის ბოროტებისგან გარჩევის უნარი უნდა გვექონდეს.

არაერთხელ მითქვამს თქვენთვის ერთი იაპონელი პოეტის შესანიშნავი პატარა ლექსი: „მოვიდა გაზაფხული და აყვავდა ალუბალი, მაგრამ მოვიდა თოვლი და მე ველარ ვარჩევ, სად არის ყვავილი და სად – თოვლი“. ეს ადამიანებზეა ნათქვამი. დღეს ადამიანებს უჭირთ გარჩევა კეთილისა და ბოროტისა; ზოგჯერ ვერ ხედავენ, სად არის კულტურა და სად ფსევდოკულტურა, რომელიც წარწყმედელი და დამლუპველია.“

*ქადაგება ილიაოპის დღესასწაულზე
სიონი, 2 აგვისტო, 2004*

„ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, როცა სხვადასხვა ლოზუნგი ვრცელდება საზოგადოებაში და დიდად აბნევს ხალხს. ხშირად სიბრძნესა, კულტურასა და სიკეთესთან ერთად შემოდის ცრუკულტურა, შემოდის ისეთი რამ, რომელსაც ზიანი მოაქვს ადამიანისა და საზოგადოებისთვის.

...დღეს საქართველოს ეკლესია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაიცვას ჩვენი სულიერი, ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობანი. ეს არ არის იოლი საქმე. რადგან არცთუ ისე ცოტანი არიან ისინი, რომელთაც ყალბი ფასეულობანი შემოაქვთ.“

***ქადაგება მთავარანგელოზობის დღესასწაულზე
სიონი, 21 ნოემბერი, 2004***

„ჩვენ, აგრეთვე, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ქართულ ხელოვნებას და ქართულ კულტურას. ქართული კულტურა გვა-
მთლიანებს, იგი ჩვენი ენაცაა, ჩვენი მამულიც, საგალობლებიც,
არქიტექტურაც, მხატვრობაც, ხატწერაც, ანუ ყველაფერი, რაც
ქართველმა კაცმა შექმნა. საოცარია, ამ პატარა ერმა უდიდესი
კულტურული საუნჯე დააგროვა და მსოფლიო საგანძურში შეი-
ტანა, მაშინ, როცა ზოგიერთმა ჩვენზე დიდმა ქვეყანამ, ჩვენზე
ბევრად მრავალრიცხოვანმა ერმა ეს ვერ შეძლო. ეს იმას ნიშნავს,
რომ შემოქმედების ძალას და უნარს უფალი გვაძლევს.

ქართველმა აუცილებლად უნდა შეიცნოს, რისი ნიჭი მისცა
მას უფალმა, და თავისი ადგილი იპოვოს.

საჭიროა, შეიქმნას კულტურის თუ ხელოვნების ცენტრი,
სადაც მომავალი თაობა, ჩვენი ახალგაზრდობა სულიერად
ალიზრდება. საქართველოს პატრიარქი ვარ და მეც არ ვიცი
ბოლომდე, რისი პატრონი ვართ. დღეს ექსპონატთაგან ზოგი
უცხოეთშია გატანილი, ზოგიც ხელოვნების მუზეუმის საცავებ-
შია ჩაკეტილი. ხელოვნების მუზეუმში არსებულ ექსპონატთა
მხოლოდ მესამედია გამოფენილი, დანარჩენი საუნჯე კი ათ-
ეული წლების განმავლობაში სანყოფნებში ინახება და მათ ვე-
რაღინ ნახულობს. ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს საშუალება
იცოდეს, რისი პატრონი ვართ. ის ახალგაზრდა, რომელიც ამ
ხელოვნებას ისწავლის და ამასთან, მართლმადიდებელი რწმე-
ნით ალიზრდება, – ვერც ნარკომანი გახდება, ვერც ქურდი,
ვერც ავაზაკი და ვერც სხვა რაიმე ცუდის ჩამდენი.“

წმინდა სამების ლავრა

28 ნოემბერი, 2004

„საერთოდ მინდა ვთქვა, რომ დღეს მეცნიერებს და მეცნიერებას განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდება, რადგან განსაკუთრებით უჭირთ. საქართველოს ეკლესია ქედს იხრის ჩვენი მეცნიერების წინაშე და დიდად აფასებს მათ შრომას. მინდა ვთქვა, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს, ჩვენი მეცნიერები და ინტელიგენცია ფასდაუდებელ ღვანლს ეწეოდნენ საქართველოსათვის, ჩვენი ეროვნული და სულიერი ფასეულობების გადარჩენისათვის.

თქვენ ალბათ გსმენიათ, უნმიდესსა და უნეტარეს კალისტრატე ცინცაძესთან ხუთშაბათობით მეცნიერები სტუმრობდნენ და საჭირობოროტო საკითხებზე ერთად მსჯელობდნენ. მათ სამშობლოს სიყვარული აერთიანებდათ.“

სიონი, 16 იანვარი, 2005

„აკადემიაში შეხვედრაზე ერთი მეცნიერის ნათქვამი გავიხსენე. იგი ამბობს: ჩვენს წინაშე ორი დიდი წიგნია – ბიბლია და ბუნება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებითურთ. ვინც ამბობს, რომ ეს ორი წიგნი ერთმანეთს ეწინააღმდეგება, იგი მათ ან სწორად ვერ კითხულობს, ან რომელიმე მათგანს ვერ იგებს; პირიქით, მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთს ავსებენ. დღეს დადგა სწორედ ის ჟამი, როცა ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ.“

ნმინდა სამების ლავრა

13 თებერვალი, 2005

„თუ ახალგაზრდა სულიერად მტკიცე არ არის და ეროვნულ საფუძველზე მყარად არ დგას, ადვილი შესაძლებელია, გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს: დაივიწყოს ჩვენი კულტურა, ჩვენი ისტორია, ჩვენი ფასეულობანი, მშობლიური ენა და სამწუხარო შედეგი მივიღოთ.“

*წმინდა სამების ლავრა
2 ოქტომბერი, 2005*

„ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელსაც ეწოდება გლობალიზაციის პერიოდი; ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებიდან საქართველოში იჭრება კულტურა და მასთან ერთად – ფსევდოკულტურაც. ჩვენ უნდა გვქონდეს ისეთი მაღალი ინტელექტი, ისეთი საფუძვლიანი ცოდნა და განათლება (არა მარტო ცოდნა, არამედ განათლებაც, – ნათელი უნდა სუფევდეს ჩვენს გულსა და გონებაში!), რომ გავარჩიოთ, სად არის კულტურა და სად ფსევდოკულტურა; ამისათვის ვართ დღეს მოწოდებულნი.

საქართველოს ეკლესია მუდამ ახლოს იყო მეცნიერებასთან და მუდამ იცავდა და ხელს უწყობდა მის განვითარებას. რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულება უძველესი საკითხია; ქრისტიანი მოაზროვნენი ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში მსჯელობდნენ ამის თაობაზე. ისეთი დიდი ფილოსოფოსი და მეცნიერი, როგორც კლიმენტი ალექსანდრიელი იყო, დაწვრილებით განიხილავს ამ საკითხს და ამბობს, რომ ადამიანისათვის ორივე აუცილებელია: ცოდნაც და რწმენაც. მისი დასკვნით, მხოლოდ მორწმუნე არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და ამავე დროს მცოდნე და განათლებული ადამიანი მეგობარია უფლისა. სწორედ ამ სრულყოფის კიბეზე უნდა ავმალდეთ.

მაცხოვარი ამბობს: „იყავით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათაი სრულ არს“. ადამიანი ვერასოდეს გახდება ისეთი სრულყოფილი, როგორც მამაზეციერია. მაგრამ ეს არის მითითება იმაზე, რომ ადამიანის განვითარებას, სრულყოფას არ აქვს დასასრული – ცოდნის მიღებაში იქნება ეს, თუ სულიერ ცხოვრებაში. ადამიანი, რომელიც სრულყოფის კიბეზე მალა ადის, სვლას სასუფეველშიც აგრძელებს; ხოლო ადამიანი, რომელიც ამქვეყნად სულიერად ეცემა, ის დაცემას იმქვეყანადაც გააგრძელებს.“

**ქადაგება სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე
სვეტიცხოველი, 14 ოქტომბერი, 2005**

„...უნდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, ჩვენი კულტურა და მეცნიერება. ჩვენი უნივერსიტეტი წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს შემთხვევით არ უკურთხებიან; არც ისაა შემთხვევითი, რომ დღეს ჩვენს წირვას პროფესორ-მასწავლებლები ესწრებიან; ღმერთმა დალოცოს ჩვენი მეცნიერები.

მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, როცა საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა, და ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია, მისი მოვალეობა – სულიერი წინამძღვრობა ერისა, ქართველმა მეცნიერებმა იტვირთეს. ჩვენ თავს ვიხრით თქვენსა და აწ უკვე გარდაცვლილ მეცნიერთა წინაშე. დიდია თქვენი ღვაწლი; საქართველო წარმოუდგენელია მეცნიერების გარეშე, ჩვენი დიდი სახელოვანი მოღვაწეებისა.

მე არაერთხელ მითქვამს თქვენთვის და ახლაც ვამბობ: საქართველოს სამოციქულო ეკლესია მუდამ თქვენს გვერდით იდგა და ასე იქნება მომავალშიც. ეკლესია მუდამ იზრუნებს იმისათვის, რომ ჩვენს მეცნიერებს მომავალი მოღვაწეობისათვის სათანადო პირობები შეექმნას. მე მაქვს სურვილი, რომ წმიდა სამების ლავრის ტერიტორიაზე აშენდეს პატარა სასტუმრო სპეციალურად მეცნიერებისათვის, რათა მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ მოსვლა და სულიერი დასვენება ამ წმიდა სავანეში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დიდებაულ დღესასწაულს. ვფიქრობ, რომ რწმენასთან შეერთებული ცოდნა და ჩვენი ეროვნული ფასეულობანი გადაარჩენს საქართველოს. ძალიან მოხა-

რული ვარ, რომ ჩვენი მეცნიერები თანდათან უახლოვდებიან ეკლესიას. მეცნიერებას დიდი და სერიოზული შედეგები ექნება იმ შემთხვევაში, თუ მის გზას მორწმუნე და სულიერად ძლიერი ადამიანები დაადგებიან. ურწმუნო ადამიანები მეცნიერებაში საშიში ძალაა.“

**ქადაგება დავითობის დღესასწაულზე
წმინდა სამების ლავრა, 8 თებერვალი, 2006**

„...დღეს ჩვენ ჩვენი უნივერსიტეტისათვის, ჩვენი სულიერებისა და მეცნიერების სავანისათვის ვლოცულობთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს მაგალითი არა მარტო მეცნიერებისა და ცოდნისა, არამედ ასევე მაღალი სულიერებისა, სიკეთისა, სიმშვიდისა. უნივერსიტეტმა უნდა უჩვენოს მაგალითი მთელ საქართველოს სიკეთისა, შენდობისა, ურთიერთმიტევებისა. დღეს უნივერსიტეტი მრავალი პრობლემის წინაშე დგას და უპირველესად ეს პრობლემები კონკრეტულ ადამიანებს ეხებათ. ჩვენ გვესმის, რომ ერთსა და იმავე მდგომარეობაში არც პიროვნება და თუნდაც არც უნივერსიტეტი არ უნდა რჩებოდეს და იგი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. შესანიშნავად თქვა უფალმა: **იყავით სრულყოფილნი, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულყოფილ არს.** ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი ოდესმე მამაზეციერს მისწვდება; ეს მოწოდება უბრალოდ იმაზე მიგვითითებს, რომ ადამიანს მუდმივი და დაუსრულებელი განვითარება ახასიათებს; იგივე უნდა ახასიათებდეს ნებისმიერ საზოგადოებასაც. უნივერსიტეტის განვითარება იმ დღიდან დაიწყო, როცა იგი ჩვენმა დიდმა წინაპრებმა დაარსეს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა. უნივერსიტეტის დამაარსებლებს, ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძესა და სხვებს, მე მამებს ვუწოდებ. მათ კარგად ახსოვდათ დავით აღმაშენებლის სიტყვები, რომლებიც მან გელათის აკადემიის დაარსებისას წარმოთქვა: გელათის აკადემია თავისი დიდი მეცნიერებით მეორე ათინა უნდა გახდეს, ხოლო დიდი სულიერებით ახალი იერუსალიმიო. ჩემთვის გასაგებია განათლების სამინისტროს და რექტორის სურვილი, რომ უნივერსიტეტი უფრო ძლიერი გახდეს, უფრო მაღალ დონეს მიაღწიოს აკადემიურობის და შეიძლება სულიერების თვალსაზრისითაც, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარი ძალა უნივერსიტეტისა ჩვენი სათაყვანებელი და

პატივცემული პროფესორ-მასწავლებლებია. უპირველეს ყოვლისა, ისინი ადამიანები არიან, რომელთა უკანაც დგანან მათი ოჯახები – შვილები და შვილიშვილები; ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის დიდი დამსახურებაც, რომელიც მათ ჩვენი ერისა და ეკლესიის, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო მეცნიერების წინაშე მიუძღვით.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კალისტრატეს დროს, მაშინ, როცა ეკლესიაც იდევენებოდა და მეცნიერებაც, ქართველი მეცნიერები კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრას მაინც ახერხებდნენ. ისინი ხუთშაბათობით სტუმრობდნენ უწმიდესსა და უნეტარესს და მასთან მეცნიერულსა თუ სულიერ საკითხებზე საუბრობდნენ. ეს ხუთშაბათობები შემდეგშიც გაგრძელდა. ჩემთან მოდიოდნენ პროფესორ-მასწავლებლები და შემდეგ იმ საკითხებზე, რომლებზეც ჩვენ გვექონდა საუბარი, ლექციებზე სტუდენტებს ესაუბრებოდნენ. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, დაეყო ჩვენი ხალხი, ქართველ ერს მაინც ერთი სული და ერთი სულისკვეთება ჰქონდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულადაც და დღესაც ერთადერთი ძალა, რომელიც ჩვენს ერს ამთლიანებს, საქართველოს ეკლესიაა. ვცდილობთ, რომ ჩვენს ხალხში ერთსულოვნება სუფევდეს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ თანამდებობა დროებითია, და რომ უფლის წინაშე ყველაფრისათვის პასუხი უნდა ვაგოთ, პასუხი უნდა გავცეთ ღმერთს, ჩვენს ერსა და წინაპრებს ყოველი ჩვენი საქმისთვის.“

წმინდა სამების ლავრა,

25 ივნისი, 2006

